BLACK

# ალია

75 თეთრი

60 თეთრი

N57 (2987) 16 აპრილი 2014 წ PRESS ფასი 60 თ

ორშაბათი სამშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

რას ამბობს მერაბიშვილისდროინდელი ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შოთა უტიაშვილი ჭიკაიძის ოპერაცია „ენვერში“ მონაწილეობაზე?



რა სკანდალებს უკავშირდება ზვიად ჯანყარაშვილის გადადგომა?



რას პასუხობს კუკავა ახვლედიანს მიმოწერის გამოქვეყნების შემდეგ?



სოსო პავლიაშვილი: „მჯერა, ღმერთი რუსეთს არ მიატოვებს!“



## ჯონდი ბაღათურია: „მისი დაკანონება კი არა, განხილვაც კი სამარცხვინოა“



რა მოხდა პარლამენტში დისკრიმინაციის კანონპროექტის განხილვისას



## ვინ არის და რა გზა გამოიარა მინისტრობამდე ელგუჯა ხოკრიშვილმა?



## ვინ მფარველობს „სტაიანშიკებს“ და ვისთან მიდის წილები?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცხინვალში დაკავებულ ქართველ ჟურნალისტებს, სავარაუდოდ, დღეს გაათავისუფლებენ



გვიან ღამით, ოკუპანტების მიერ დაკავებულ ჟურნალისტებს ოჯახის წევრებთან ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა მისცეს. ჟურნალისტ ბელა ზაქაიძის განცხადებით, ის თავს კარგად გრძნობს და ჰპირდებიან, რომ 16 აპრილს გაათავისუფლებენ.

ჟურნალისტების დასაბრუნებლად, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ინფორმირებულია საერთაშორისო თანამეგობრობა ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების ჩათვლით. (ინტერპრესნიუსი)

## აბორტზე ფიქრისთვის ქალებს ხუთდღიანი ვადა მიეცემათ




სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე, აბორტისთვის სამდღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი ხუთდღიანი ვადით იცვლება. კანონპროექტი ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა.

„ხშირად გადაწყვეტილებას ქალი გაუცნობიერებლად იღებს, მეუღლის, ოჯახის წევრების ან სხვა პირების ზემოქმედებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევიან დაუქორწინებელი მოზარდი გოგონები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები და აივ-ინფიცირებულები. გასათვალისწინებელია ასევე, სქესის შერჩევის მიზნით მიღებული გაუცნობიერებელი გადაწყვეტილებებიც“, – ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. (ინტერპრესნიუსი)

## სპეცოპერაციის დროს დაღუპული მოქალაქის ოჯახი დახმარებას ითხოვს



2006 წლის 13 იანვარს ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს დაღუპული შოთა გორგაძის ოჯახი საქმის გამოძიებასა და დათა ახალაიას დასჯას ითხოვს. გარდაცვლილის მეუღლე მადონა მურმანიძე და სიდედრი მარო მურმანიძე სახელმწიფოს ასევე ბავშვის აღზრდაში დახმარებას სთხოვენ.

„ჩემი ქმარი დედაჩემთან იყო წალკაში. ტელეფონზე დამირეკა და მითხრა, რომ ბათუმში მოვდივართ და სუფრა გაშალე, ახალი წელი უნდა აღვნიშნოთო. ჩამოსვლა რომ დაუგვიანდა, ვრეკავდი, მაგრამ არ პასუხობდა. ტელევიზორი მქონდა ჩართული და გამოაცხადეს, რომ სამი ახალგაზრდა ჩაცხრილეს სპეცოპერაციის დროს. სპეცოპერაციის ხელმძღვანელი დათა ახალაია იყო და ვითხოვ საქმის გამოძიებას, ის უნდა დაისაჯოს. ჩემი შვილი 6 თვის იყო, მამამისი რომ გარდაიცვალა. ის ახლა 8 წლის არის და უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვცხოვრობთ“, – განაცხადა მადონა მურმანიძემ.

მურმანიძეების რვასულიანი ოჯახი „მუყაოს ქალაქში“ ქოხში ცხოვრობს. გაჭირვების გამო შოთა გორგაძის ცოლ-შვილიც იქ დასახლდა.

„არასდროს დამავიწყდება დათა ახალაიას ნასიამოვნები სახე იმ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ. რვა წელია, ჩემი შვილის ცრემლსა და ტანჯვას ვხედავ. ახალაია დღეს წელში უნდა იყოს გამართული და ესენი ასე იტანჯებოდნენ? იმ სპეცოპერაციაში თათუხაშვილიც მონაწილეობდა, მას სიმართლე უნდა ეთქვა, მაგრამ წინა მთავრობის წევრებმა მოკლეს და მოიშორეს“, – განაცხადა მარო მურმანიძემ. (კვირა)

## გიგი უგულავაზე მორატორიუმი არ ვრცელდება



თბილისის საქალაქო სასამართლოში „თბილისის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებულ ბრალდებაზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა. გიგი უგულავას განცხადებით, პროკურატურა ყველაფერს გააკეთებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ის ხშირად მივიდეს სასამართლოში, შემდეგ კი, ბრალდების მხარე შეეცდება, აღნიშნული სასამართლოს გადააბრალოს.

„ჩემს წინააღმდეგ ჩვეულებრივი ბრძოლის პოლიგონია. ივანიშვილი, ღარიბაშვილი და ფარცხალაძე უწესოდ იბრძვიან. ჩემი პირადი ამოცანა ის არის, რომ ესენი წესებით დავამარცხო. მზად ვარ ნებისმიერი გამოწვევისთვის“, – განაცხადა გიგი უგულავამ. (კვირა)

## დავით გარეჯელი ბერები მონასტრის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად ვერ გადაადგილდებიან



დავით გარეჯის მონასტერის წინამძღოლის, მამა ილარიონის განცხადებით, საზღვრის პრობლემასთან მიმართებაში ჯერ არაფერი შეცვლილა, თუმცა მათ ეუბნებიან, რომ ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს. მისივე თქმით, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან იმავე ადგილას, სადაც შეთანხმდნენ ორი წლის წინათ, გარეჯში ჩატარებული აქციის შემდეგ.

„აღდგომის ტაძრამდე მომლოცველი და ვიზიტორი ჩვეულებრივ, დაუბრკოლებლად მიდის. სანამ მოლაპარაკებები არ დასრულდება, მესაზღვრეები მომლოცველებსა და ვიზიტორებს ხელს არ შეუშლიან. არაფერი არ შეცვლილა. ველოდებით საკითხის გადაწყვეტას“, – დასძინა მამა ილარიონმა.

მისივე თქმით, აღდგომის ტაძარს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები თავის საზღვრად მიიჩნევენ, მაგრამ მომლოცველებს იქ მისვლას არ უშლიან. „აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ძირითადად წმინდა ილიას ნიშთან დგანან, რომელიც აღდგომის ტაძრის მახლობლადაა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სულ იქ იმყოფებიან“, – დასძინა მონასტრის წინამძღოლმა.

მამა ილარიონის თქმით, გარეჯის მონასტრის ნაწილი, ბერთუბანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და იქ შესვლას ბერებიც ვერ ახერხებენ. ასეთი მდგომარეობა დაახლოებით 10 წლის წინათ დადგინდა. გასულ წელს ბერებს იქ შესვლაზე პრობლემები შეექმნათ. „სანამ სამთავრობო დონეზე შეთანხმება არ მოხდება, ბერთუბანში შესვლა გამორიცხულია“, – დასძინა მამა ილარიონმა. (ინტერპრესნიუსი)

## ვინ არის და რა გზა გამოიარა მინისტრობამდე ელგუჯა ხოკრიშვილმა?

ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე, მერობის კანდიდატი დავით ნარმანია ელგუჯა ხოკრიშვილმა შეცვალა, რომელიც მანამდე „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ ხელმძღვანელობდა. ხოკრიშვილი მინისტრის ამპლუაში სამუშაოს 14 აპრილიდან შეუდგა. ის არამხოლოდ მინისტრთა კაბინეტისთვის არის ახალი სახე, მის შესახებ ძალიან ცოტა რამ იცის საზოგადოებამაც.



ვინ არის ელგუჯა ხოკრიშვილი და რა გზა გაიარა მან მინისტრობამდე?

ელგუჯა (გუჯა) ხოკრიშვილი 1973 წელს თბილისში დაიბადა. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. მას განათლება მიღებული აქვს ეკონომიკის განხრით გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტში. ამავე უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქმიანობა გერმანიაშივე განაგრძო და პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსების კათედრაზე მკვლევარ-მეცნიერად მუშაობდა. მოგვიანებით გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს ექსპერტი გახდა, საიდანაც ისევ პოტსდამის უნივერსიტეტს დაუბრუნდა და 2010 წლამდე პროექტების მართვის სპეციალისტად მუშაობდა. ამის შემდგომ საქართველოში დაბრუნდა.

ის აქტიური სახე არასდროს ყოფილა, ამიტომ მას კარგად არც არასამთავრობო სექტორში იცნობენ. ხოკრიშვილის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მან საქმიანობა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში“ განაგრძო ექსპერტის სტატუსით, პარალელურად კი ილიას უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა 2012 წელს. მოგვიანებით გახდა კავკასიის ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე. შეგახსენებთ, რომ ეს ინსტიტუტი დავით ნარმანიამ დააფუძნა 2009 წელს და თვითონვე იყო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი. როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გადაწყვიტა შემოსვლა, მან ექსპერტების ნაწილს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა შესთავაზა. ნარმანია „ოცნებაში“ გადავიდა, ხოლო ხოკრიშვილი საკუთარ თანამდებობაზე დატოვა. მოგვიანებით ნარმანიამ ხოკრიშვილს „ქართულ ოცნებაში“ რეკომენდაცია გაუწია და ასე აღმოჩნდა პროექტების მართვის სპეციალისტი პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

ნარმანია და ხოკრიშვილი ერთმანეთს წლებია იცნობენ. მერობის კანდიდატსაც სტაჟირება გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტში აქვს გავლილი. სწორედ ამ დროიდან იცნობს ის ელგუჯა ხოკრიშვილს და მასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხოკრიშვილს, ვიდრე ის „ქართულ ოცნებაში“ მივიდოდა, ირაკლი ღარიბაშვილიც იცნობდა და მასთან კარგი ურთიერთობა აკავშირებს.

ხოკრიშვილს გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი პუბლიკაცია საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის, ფისკალური დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებისა და რეგიონალური ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შესახებ ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

გადავხედოთ ინფრასტრუქტურის მინისტრის ქონებრივ დეკლარაციას. ელგუჯა ხოკრიშვილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2013 წლის 16 ოქტომბერს არის შევსებული. მეუღლე ეკატერინე შარაშიძე დაბადებულია თბილისში 1972 წლის 20 აგვისტოს. შვილი დანიელი დაბადებულია გერმანიაში, ბერლინში 2007 წლის 1-ელ სექტემბერს. მამა ჩერმენ ხოკრიშვილი დაბადებული თბილისში 1935 წლის 15 აგვისტოს. დეკლარაციის თანახმად, ელგუჯა ხოკრიშვილის საკუთრებაში უძრავი ქონება არ არის. თუმცა, მისი მამა ფლობს მიწის ნაკვეთს თბილისში, ლეჩხუმის №4-ში, ფართობი – 120.00 კვ.მ, ასევე მის საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი ფართობი – 85.00 კვ.მ. ხოკრიშვილისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არ არის ფასიანი ქაღალდები.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, ელგუჯა ხოკრიშვილის სახელფასო ანგარიშზე დეკლარაციის შევსების მომენტში, „საქართველოს ბანკში“ 400 ლარი ირიცხება, ასევე მის ანგარიშზეა „თი-ბი-სი“ ბანკში საკრედიტო ანგარიშზე 200 ლარი. დამატებითი შემოსავლის სახით, წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის სახით, ელგუჯა ხოკრიშვილს კავკასიის ეკონომიკურ და სოციალურ კვლევით ინსტიტუტში 95000.00 ათასი ლარი აქვს აღებული, სადაც ის ექსპერტი იყო. რაც შეეხება მისი ოჯახის წევრების შემოსავლებს, ხოკრიშვილის მეუღლეს, წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის სახით, მიღებული აქვს ჰონორარი 80 000 ლარის ოდენობით.

ხოკრიშვილზე ჯერჯერობით მხოლოდ ამის გარკვევა მოხერხდა. დამატებით ინფორმაციებს ეტაპობრივად შემოგთავაზებთ.

შორენა გოგოლაძე

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მშობლებს აფრთხილებს



როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ლია გიგაური აცხადებს, გასულ წელს პროგრამას, რომლის მეშვეობითაც მშობლები სკოლებში შვილებს არეგისტრირებენ, ჰქონდა ხარვეზები, რადგან გათვლილი იყო წუთში 10 000 მომხმარებელზე. მინისტრის მოადგილის თქმით, გასულ წელს მოხდა ისე, რომ ერთდროულად პროგრამის 70 000-მა მომხმარებელმა ისარგებლა, რამაც ხარვეზები შექმნა. მისივე თქმით, წელს უკვე პროგრამა გაუმჯობესებულია და წუთში გათვლილია 50 000 მომხმარებელზე, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მშობლებს აფრთხილებს.

„ჩვენ გაფრთხილებას ვაკეთებთ ყველა მშობელთან, რომ არ დაარეგისტრიროს ერთი ბავშვი რამდენიმე მეურვემ და მშობელმა ერთდროულად, რაც პროგრამას უქმნის ხარვეზებს. რაც მთავარია, ამის შესაძლებლობა მშობელს ნამდვილად არ ექნება, რადგან თუ ერთი და იგივე ბავშვზე რეგისტრაციას დაიწყებს რამდენიმე ადამიანი, საერთოდ შეჩერდება ამ ბავშვის რეგისტრაცია. პროგრამულად ეს უზრუნველყოფა გაკეთებულია, პროგრამა ისეა გამართული, რომ მცდელობა ერთი ბავშვი დაარეგისტრიროს 10-მა, 15-მა, 20 ადამიანმა აუცილებლად იქნება დაბლოკილი“, – აღნიშნა ლია გიგაურმა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 23 აპრილს დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## საყოველთაო აღწერას უცხოელი დონორები დააფინანსებენ




2014 წლის საყოველთაო აღწერის ხელშესაწყობად და ხარისხიანი მონაცემების შესაგროვებლად, შვედეთის მთავრობასა და გაერო-ს მოსახლეობის ფონდს შორის თანადაფინანსების ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვით, შვედეთის მთავრობამ 1 100 000-აშშ დოლარზე მეტი დამატებითი რესურსი გამოყო, ხოლო გაერო-ს მოსახლეობის ფონდის კონტრიბუციამ 2014 წელს 200 000 აშშ დოლარი შეადგინა.

დონორთა დახმარება ემსახურება აღწერის სრულყოფილად ჩატარებას და რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: მონაცემთა შეგროვების ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება; მრავალმხრივი მედიაკამპანია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირება საყოველთაო აღწერის ხარისხიანად ჩატარების მნიშვნელობის შესახებ; მოსახლეობის აღწერის კითხვარების ბეჭდვა.

საქართველოში გაერო-ს მოსახლეობის ფონდის პარტნიორს სტატისტიკის ეროვნული სამსახური წარმოადგენს. ფონდი, მისი მანდატიდან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დახმარებას უწევს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებას. საქართველოში საქმიანობის 15 წლის განმავლობაში ფონდი დახმარებას უწევდა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დემოგრაფიულ მონაცემთა შეგროვების და მათი ანალიზის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერაშიც.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება. ამ მიზნისთვის შეირჩევა 15 ათასამდე ადამიანი, რომელიც მოსახლეობას სპეციალური კითხვარების მეშვეობით ინდივიდუალურად გამოკითხავს. (ინტერპრესნიუსი)

## სანოტარო მოქმედება ინტერნეტით მხოლოდ საქართველოში სრულდება



ონლაინ სანოტარო მომსახურებით ყოველწლიურად უფრო მეტი მომხმარებელი სარგებლობს. მიმდინარე წელს ინტერნეტის მეშვეობით, სანოტარო წესით 12 482 მინდობილობა, რწმუნებულება და განცხადება დამოწმდა.

ნოტარიუსთა პალატის ცნობით, აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლების სტატისტიკურ მონაცემებს. 2013 წელს ამავე პერიოდში 9 714 სანოტარო მოქმედება შესრულდა ონლაინში, 2012 წელს – 7 826 სანოტარო მოქმედება.

„ონლაინ სანოტარო სერვისი 2010 წელს დაინერგა და ეს მოქმედება მხოლოდ საქართველოში სრულდება. აღნიშნული მომსახურების მიღება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია. ონლაინში სანოტარო წესით მოწმდება ნებისმიერი სახის განცხადება და მინდობილობა/რწმუნებულება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, ხოლო გარიგება – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ონლაინ სერვისები მოქალაქეებს, განსაკუთრებით უცხოეთში მყოფებს, მნიშვნელოვნად უმარტივებს სანოტარო მომსახურების მიღებას. ზედმეტი ხარჯისა და დროის დაკარგვის გარეშე შესაძლებელია ნოტარიუსთან ინტერნეტის მეშვეობით დაკავშირება და სანოტარო სერვისით სარგებლობა“, – აცხადებენ ნოტარიუსთა პალატაში. (ინტერპრესნიუსი)

## ნატო-ს წევრი ქვეყნები საქართველოს შეიარაღებული ძალებს პროექტის ექსპერტირებაში დაეხმარებიან



თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საფრანგეთში ნატო-ს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტის შტაბის ოფიცერთა შეკრებისას, ქართულმა მხარემ საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ტრანსფორმაციის კონცეფციის ძირითადი ასპექტების შესახებ მოხსენება გააკეთა. გადაწყდა, რომ კომიტეტის წევრი ქვეყნები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს კონცეფციის პროექტის ექსპერტირებაში დახმარებას გაუწევენ. აშშ, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, ავსტრალია, ბელგია, ნიდერლანდები, დანია და პოლონეთი 2014 წლის ზაფხულის შეხვედრაზე კონცეფციის შეფასებებსა და რეკომენდაციებს წარადგენენ. შეხვედრისას ასევე, განიხილება საქართველოს ინიციატივა, 2015 წლის შემოდგომაზე კომიტეტის მორიგი სხდომის თბილისში გამართვასთან დაკავშირებით.

საქართველო ნატო-ს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტის წევრი დამკვირვებლის სტატუსით 2013 წლის 7 ნოემბერს გახდა. საქართველოსთან ერთად დამკვირვებელი წევრები ასევე არიან ავსტრალია, შვედეთი, ავსტრია და სამხრეთ კორეა. ნატო-ს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება ნატო-ს სამხედრო კომიტეტს და რეზერვის საკითხებში მთავარი მაკოორდინებელი სტრუქტურაა. (ინტერპრესნიუსი)

## რას პასუხობს კუკავა ახვლედიანს მიმოწერის გამოქვეყნების შემდეგ?

ამ ამბავს უკვე სხვა სუნი უდის, მაგრამ მაინც უნდა გაგაცნოთ პასუხის პასუხი. საქმე ისევ და ისევ კუკავა-ახვლედიანის სკანდალს ეხება. ჩვენ იძულებულები ვართ, მათი დაპირისპირების დეტალები გაგაცნოთ:

„დღეს საუბარი იმაზე, რომ თურმე კახა კუკავას ორგანიზაცია ნინო ბურჯანაძესთან იმიტომ ვერ მიდის, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ არიან მათთვის მიუღებელი, ეს იმდენად მოკლეფეხებიანი ტყუილია, რომ ამით კუკავა შორს ვერ წავა. ვაცხადებ, ჩვენ ერთი თვის მანძილზე გვქონდა ძალიან სერიოზული კონსულტაციები და შეთავაზებები, როგორი ფორმით უნდა მომხდარიყო ოპოზიციურ-კოალიციური გაერთიანების ჩამოყალიბება. მინდა გითხრათ, რომ იყო მისი მხრიდან ძალიან სერიოზული შემოთავაზებები, იქამდე სერიოზული, რომ ამბობდა, ორპარტიული ბლოკები ხომ არ გავაკეთოთო. ამის შესახებ გვესაუბრებოდა მეც, ნიკა ლალიაშვილსაც და ლევან ვეფხვაძესაც და თუ საჭირო გახდა, „ინბოქსის“ მიმოწერას წარმოგიდგენთო“, – განაცხადა „ალიასთან“ საუბარში გიორგი ახვლედიანმა. რაზეც თავად კუკავამ თქვა, გიორგი ახვლედიანის ბოდვაზე კომენტარს ვერ გავაკეთებო და, თუ მას ეს მიმოწერა ნამდვილად აქვს, გამოაქვეყნოსო. 14 აპრილს კვლავ დაგვიკავშირდა გიორგი ახვლედიანი და გვთხოვა, ამას თავად ბატონი კახა ითხოვს და თუ შეიძლება, სურვილი ავუსრულოთ და „ინბოქსის“ მისი წერილი გამოვაქვეყნოთო.

„ალიამ“ შეასრულა პოლიტიკოსის თხოვნა და 15 აპრილს წერილი დაიბეჭდა. რის შემდეგაც დავუკავშირდით უკვე **კახა კუკავას** და კომენტარი ვთხოვეთ:

– წამიკითხეთ. რა, წერილი დაიბეჭდა უკვე თქვენს გაზეთში?



— **დაიბეჭდა. თქვენ არ გინახავთ ეს მასალა? გამოქვეყნდა და თან ახვლედიანმა დაურთო სიტყვები, რომ „მე „მეილი“ შენახული მქონდა და შეგვიძლია, ექსპერტიზა დავნიშნოთო! ამ დროს უამრავი მესიჯი მაქვს მოსული ბატონი კახასგან, სადაც წერია, რომ დროა გაერთიანებაზე ვიფიქროთ. ისე, მისგან ასეთი მესიჯი რომ არ ყოფილიყო, არც დრო და არც სურვილი არ მექნებოდა, მსგავსი მომეფიქრებინა. აქედან გამომდინარე, მარტო ჩემი კი არა, ლევანისა და ნიკას „მეილბოქსებიც“ უნდა ინახოს საექსპერტოდ და ამის შემდეგ დაესმება წერტილი და ყველა გაიგებს, რომ ამ შემთხვევაში კახა კუკავას როგორ შეუძლია პარტნიორებთან ურთიერთობა და როგორ შეუძლია, ერთი ხელის მოსმით ხალხის გაწევა გვერდზეო“.**



– და რა წერია იმ მესიჯში?

— **მე მეკითხებით? იქ თქვენს მიერ მიწერილია, „ახლა ის დროა ვიფიქროთ ორპარტიულ ბლოკზე“.**

– მარტო ეს წერია, მოლაპარაკება?

— **არ ვიცი, რაც მოგვაწოდა ბატონმა ახვლედიანმა, ესაა.**

– ვის მიმართ არის ეს „მეილი“?

— **ნიკა ლალიაშვილისა და გიორგი ახვლედიანის მიმართ.**

– მაშინ რა შუაშია ახვლედიანი? მე საერთოდ არ მაქვს გიორგი ახვლედიანის „მეილები“, არც ტელეფონი და არც საფოსტო მისამართი. ლალიაშვილთან მე ვმეგობრობ და მაქვს ურთიერთობა, მაგრამ გიორგისთან – არა. ძალიან კარგია, რომ გამოაქვეყნა ამ ადამიანმა ეს წერილი და საზოგადოებამ დაინახა, ვისთან გვაქვს საქმე. ადამიანი რომ კუდ-ის აგენტივით პირად „ესემესებს“ გამოაქვეყნებს, ამას ჩემი კომენტარი აღარ სჭირდება, თუ რა ადამიანია გიორგი ახვლედიანი.

— **კი, მაგრამ თქვენ არ მოითხოვეთ, გამოაქვეყნოს, თუ რამე აქვსო?**

– მე რომ მოვთხოვე, თვითონ განაცხადა, ასეთი რამე არისო და ამაზე საზოგადოებამ იმსჯელოს, რა ჰქვია იმ კაცს, ვინც „ესემესს“ რომ მისწერ და „იმეილს“ რომ მისწერ, „ალიაში“ გამოაქვეყნებს! ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**მართალია კუკავა, რომელიც მერად უნდა დაიქირაოს საზოგადოებამ. სწორედ საზოგადოებამ უნდა განსაჯოს, პოლიტიკოსების ურთიერთობებიდან რა უნდა იცოდეს მან და რა — არა.**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მანჩო გიორგობიანმა ირაკლი ალასანიას მეუღლესთან მიმოწერა გაასაჯაროვა

მანჩო გიორგობიანმა, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე, „ნიუპოსტის“ სტატიის საპასუხოდ სტატუსი გამოაქვეყნა, რომელშიც მისი და ნათია ფანჯიკიძის მეგობრობაზეა საუბარი.

„ნიუპოსტის რედაქციას... კომენტ-კომენტ რომ დაკრისაობთ, გეკითხათ და მეტსაც გეტყოდით. ბოლო-ბოლო ჩემი და ნათიას ინბოქსს განახებდით... )))))) ყრუები ხომ არ ხართ, არ ვიტყუები არასდროსსს, არაფერსსს!!!! ძიბილლლი ნუუუ ))))) ცნობისთვის, ნათია ფანჯიკიძე არის არაჩვეულებრივი ფსიქოლოგი..

(წაშლას არ ვაპირებ, სქრინშოტსაც დავდებ, თუ საჭირო გახდა..!)

ბოკერია იმბეცილო ვერ მომერევი-თქო, დაგასამარებბბბ!!!!!!!!

**P.S.** ამ ფოტოს ნუ ადებთ ყველაფერს, შარშანდელია და არ მომწონს, გასუქებული ვიყავი! (რედაქციას! ))))))))

მანჩო გიორგობიანის და ნათია ფანჯიკიძის საერთო კედელზე დაწყებული კომენტარების გაგრძელება ინბოქსს!

ტანანანნანაანნააააა მოემზადეთ!!! ))))))))))))))

– ნათიიიი ვიბრიდებიიი სულ მაკანკალებს, მოწყვეტილი ვარ



– ვიცი, ვგრძნობ და გთხოვ, ხვალვე მოდი

– საჭმელს თითო ლუკმა ..რომელზე?

– ხვალ სამზე მენტალვიტაში მოდი, ერთ კვირაში იფრენ

– სუ მეტირება აუ სულლლ მეტირება

– ტ.ტაბიძის (ვაკეში) 39

– ვიცი რომელზე?

– 3-ზე, მანამდე სხვები მყავს და 3-ზე შენ მოგხედავ

– კარგი 3 მანდ ვარ! თან ეს წამლებიც არ მინდა რომ დავლიო არაფერს არ ვსვავდა ვალიდოლი კორსიზი ეს პაჭა-პუჭები გულის წამლები არ მიხსნის სპაზმს გულზე და რა დავლიო?

– მანჩო, ამ წამლებს აგიხსნი ყველაფერს რა რისთვისაა, არაფერი მათში საშიში არაა, მითუმეტეს იმ დოზით, რაც შენ გჭირდება.

– არ მშველის-თქო, სულ მაქვს გულის სპაზმი სულლლლ ასე მგონია, გასკდება

– ნუ გეშინია, სამ დღეში იქნები ძალიან კარგად და ერთ კვირაში აბსოლუტურად კარგად“. (nius.je)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტი რუსეთთან დაპირისპირების საფრთხეს ვერ ხედავს



საქართველოს პრეზიდენტი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს შეხვდა. გიორგი მარგველაშვილს მათ საკუთარი მოსაზრება გააცნეს და იმ რისკებზე იმსჯელეს, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას უკავშირდება.

„ჩვენ განვიხილეთ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის თემები, ასევე, ის პრობლემური საკითხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და ის პოტენციალი, რომელიც ამ ურთიერთობას აქვს. ამას გარდა, საუბარი შეეხო რეგიონალური უსაფრთხოების საკითხს, რამდენადაც ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენები გავლენას ახდენს საქართველოს სტაბილურობაზე, სუვერენიტეტსა და მდგრადობაზე. უაღრესად ბევრი თემა იყო განხილული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ამ ეტაპზე ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე ღია დაპირისპირების საფრთხეს, რომელიც შეიძლება რუსეთის ფედერაციის მხრიდან არსებობდეს, მიუხედავად იმისა, რომ, სამწუხაროდ, პირადად გვაქვს ამის გამოცდილება 2008 წელს და უკრაინის შემთხვევაში 2014 წელს. ეს ერთი. მეორე საკითხია ის, რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისთვის, რომ დაძლიოს ასეთი საფრთხეები. ამისთვის ქვეყანაში უნდა იყოს უფრო მეტი სტაბილურობა და ერთიანი პოზიცია საგარეო საკითხებთან დაკავშირებით“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირი მავთულხლართებისა და საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის თემებსაც შეეხო და განაცხადა, რომ ქართული მხარე საერთაშორისო თანამეგობრობას დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის სათანადო რეაგირებისთვის.

„ამ ფაქტებმა, სამწუხაროდ, რეგულარული ხასიათი მიიღო და ეს შემაშფოთებელია. ამას არ ვუკავშირებ რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მუდმივად გამოვხატავთ პროტესტს და ვცდილობთ, ჩვენი ევროპული არხების მეშვეობით გავაგებინოთ მოსკოვს, რომ სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის საჰაერო სივრცის დარღვევა არ მატებს პატივს და არ წერს მას ცივილიზებულ ქვეყანათა სიაში.

მავთულხლართების გავლება არის სტრატეგია კონფლიქტის მოგვარების წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, არის როგორც ეუთოს, ისე გაეროს სულისკვეთებისა და დეკლარაციების წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი საერთაშორისო დანაშაული“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა და მას საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე 20-მდე ექსპერტი და პოლიტოლოგი ესწრებოდა. (კვირა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახელმწიფო მნიშვნელობის მშენებლობებში მონაწილე კომპანიები ჯარიმებისგან განთავისუფლდებიან



სახელმწიფო მნიშვნელობის – ე.წ. მეხუთე კლასის ობიექტების მშენებლობაში მონაწილე კომპანიები ჯარიმისგან იმ შემთხვევაში განთავისუფლდებიან, თუ საქმე ეხება ჯარიმებს, როცა კომპანია მშენებლობისთვის დადგენილ ფარგლებს გასცდა, ან ჯარიმა მას სანებართვო პირობების დარღვევის გამო დაეკისრა.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მიხედვით, ეს ჯარიმები ერთჯერადი არ არის – ერთხელ დაჯარიმებული სუბიექტი, თუ დაშვებულ შეცდომას არ გამოასწორებს, სახელმწიფოს შეუძლია, ის სამჯერ, სამმაგი ოდენობით დააჯარიმოს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, დაჯარიმებული კომპანია მიმართავს სახელმწიფოს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აღწერს, რა მიზეზით მოხდა პირობების დარღვევა, ან საზღვრებს იქით გასვლა და თუ სამინისტრო მიიჩნევს, რომ მისი მიმართვა მართებული და მისაღებია, მიმართავს მთავრობას. ამასთანავე, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პირობაა, რომ მას პირველადი ჯარიმა გადახდილი ჰქონდეს. კომპანიის ჯარიმისგან განთავისუფლების უფლებამოსილება მთავრობას აკისრია.

ე.წ. მეხუთე კლასისთვის მიკუთვნებულ მშენებლობებში ითვლება სახელმწიფო მნიშვნელობის გზები, ხიდები და გვირაბები. (ბპნ)

# ბათუმის ნავთობტერმინალისა და საზღვაო პორტის მმართველი შესაძლოა, თაღლითობისთვის გაასამართლონ




ადვოკატი დიმიტრი გაბუნია, რომელიც კომპანია „ტრანსსისტემის“ ინტერესებს იცავს სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, დაინტერესდნენ „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორის საქმიანობით. ადვოკატის თქმით, ბაიტაზიევი საფრთხეს უქმნის ბათუმის პორტის ფუნქციონირებას.

„ტალგატ ბაიტაზიევი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ კომპანიებს, არამედ მთლიანად ბათუმის პორტის განვითარებას, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე“.

ადვოკატის თქმით, აუცილებელია სასწრაფო რეაგირება მოჰყვეს მათ განცხადებას. „ტრანსსისტემის“ ხელმძღვანელი და ადვოკატი ასევე წერილობით მიმართავენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ყაზახეთის საელჩოს საქართველოში და კომპანია „ყაზტრანსოილის“ წარმომადგენლობას, რათა ყურადღებით შეისწავლონ აღნიშნული საკითხები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები. ლომთაძე გეგმავს ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრასაც. პარალელურად ქართულმა და საერთაშორისო კომპანიებმა წარმოშობით ყაზახი ბიზნესმენის „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორის, ტალგატ ბაიტაზიევის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე სარჩელი მოამზადეს და უახლოეს მომავალში წარადგენენ სასამართლოში.

ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალმა **BICT**-მა კი უკვე შეიტანა სარჩელი ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში. ამ შემთხვევაში, დავის საგანია ბათუმის ნავსადგურის მხრიდან უკანონოდ და ხელშეკრულების პირობების დარღვევით ტერმინალის საქმიანობის შევიწროება.

კომპანია „ტრანსსისტემის“ დირექტორი გელა ლაითაძე „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის“ დირექტორს, ტალგატ ბაიტაზიევს შევიწროებასა და კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს. „ჩვენი კომპანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ბათუმის პორტის ბაზარზე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ, თუკი „ტრანსსისტემის“ შესვლამდე პორტის მშრალი ტვირთის გადაზიდვის საშუალო მაჩვენებელი 1 მილიონ ტონამდე იყო, კომპანიის მუშაობის შემდეგ ის მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2011 წელს – 1 514 125,55 ტონა, ხოლო 2012 წელს 1 573 485,62 ტონა შეადგინა. 2013 წლის პირველი კვარტალის შემდეგ კი ტალგატ ბაიტაზიევმა დაიწყო ჩვენი შევიწროება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ პარალელურ რეჟიმში, მან შექმნა რამდენიმე ახალი კომპანია, მათ შორის ერთ-ერთი „ჯპმს გრუპი“ პირადად ჩვენს კონკურენტად. მიუხედავად რამდენიმეთვიანი გამოცდილებისა, ამ კომპანიამ ასევე 2013 წლის ივნის-ივლისში ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიას მიეცა ნავსადგურის საბაზისო ტარიფებიდან 20%-ნი ფასდაკლება ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, რაც ჩვენ არ გვქონია, – ამბობს ლაითაძე.

კითხვაზე: რატომ არ ხდება ზეწოლა სხვა ფირმებზე? ლაითაძე აცხადებს, რომ ბაიტაზიევი სხვა ფირმებთან გარიგებაში შედის.




ვინ არის ტალგატ ბაიტაზიევი და რა გახმაურებულ კრიმინალურ საქმეებში ფიგურირებს მისი გვარი? ბაიტაზიევის გვარმა ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს გაიჟღერა მედიაში. ის ყაზახეთში დაწყებულ „ნავთობის სკანდალში“ ცენტრალურ ფიგურად იყო მოხსენიებული.

„ნავთობის სკანდალი“ ყაზახეთში 2013 წლის თებერვალში გამძაფრდა, როდესაც ატირაუს ოლქის ყოფილ ხელმძღვანელზე (აკიმი) ბერგეი რისკალიევზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. მას ადანაშაულებენ 35-კაციანი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც რესპუბლიკის რეგიონებს „წველიდა“. ყაზახეთის ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, დაჯგუფების საქმიანობამ ქვეყანას 71 მილიარდ ტენგეზე მეტი ზარალი მიაყენა, საიდანაც სახელმწიფომ მხოლოდ 24 მილიარდ ტენგეზე ნაკლები დაიბრუნა, თავად რისკალიევს კი სამართალდამცველებმა ვერსად მიაგნეს. ყაზახურმა მედიამ მაშინ ყურადღება გაამახვილა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან ბათუმის ნავთობტერმინალის დირექტორის კავშირზე.

**Batumi Industrial Holdings**-ი საწარმო „ყაზტრანსოილის“ 100%-იანი შვილობილი კომპანიაა და მასში შედის ბათუმის ნავთობტერმინალი და ბათუმის საზღვაო პორტი. ყაზახეთის მედიის ცნობით, ბაიტაზიევი, რომელიც თავის დროზე ატირაუს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელი იყო, საკმაოდ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ატირაუს ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან.

ყაზახეთის პროკურატურის ცნობით, აღნიშნული დაჯგუფება ნავთობით უკანონო ვაჭრობასაც ეწეოდა და ეს საქმიანობაც იმ საწარმოსთან არის დაკავშირებული, რომელსაც ბაიტაზიევი ხელმძღვანელობდა. ამის გამო კომპანიის გენერალური დირექტორი ტალგატ ბაიტაზიევი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. რაც შეეხება შემუშავებულ სქემებს, ისინი დღემდე მოქმედებს და შესაბამისად, დაზარალებულების რიცხვი იზრდება. ბაიტაზიევს ბათუმში თითქმის ვერ ხედავენ, ის ძირითადად კვიპროსში იმყოფება, სადაც „ყაზტრანსოილის“ ოფისია განთავსებული.

შეგახსენებთ, რომ ყაზახი ბიზნესმენი მას შემდეგ ჩაუდგა სათავეში ბათუმის პორტის დროებით მფლობელ კომპანიას, რაც ცნობილი სკანდალის შემდგომ ატირაუს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნის დირექტორობიდან გაათავისუფლეს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დაუბეგრავი მინიმუმის უფლებით მოსარგებლეთა რიცხვი შესაძლოა, 600 000-მდე გაიზარდოს



შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცესისადმი არსებული მაღალი ინტერესიდან გამომდინარე შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე **rs.ge** შეიქმნა ახალი აპლიკაცია სახელწოდებით „დაუბეგრავი მინიმუმის რეგისტრირებული დეკლარაციების რაოდენობა“.

მოისწრაფიშვილის განმარტებით, აპლიკაციის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, რეალურ დროში ადევნოს თვალყური დეკლარირების პროცესს და მიიღოს უახლესი ინფორმაცია დეკლარირებული განაცხადების რაოდენობის, ასევე დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ოდენობის შესახებ. განაცხადების რაოდენობა ყოველ 5 წამში იცვლება, ინფორმაცია დაბრუნებული თანხის შესახებ კი ყოველ ნახევარ საათში ახლდება.

„აპლიკაციით სარგებლობა მარტივია. კერძოდ, აპლიკაციის პირველი ციფრი აღნიშნავს მიმდინარე დღის მონაცემებს. მეორე ციფრი – პირველი აპრილიდან ვიზიტის მომენტისთვის შევსებული დეკლარაციების რაოდენობაა, მესამე – საერთო რაოდენობიდან საბანკო დაწესებულებებში შევსებული განაცხადების რაოდენობა, ხოლო მეოთხე – მიმდინარე მომენტისთვის დაბრუნებული თანხის რაოდენობა. დეკლარირების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს დამქირავებლების მიერ განაცემების შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისთვის მოწოდების პროცესი. დაზუსტებების შესაბამისად, შესაძლოა, შეიცვალოს ინფორმაცია, როგორც დაქირავებულისთვის ხელფასის მოცულობის, ისე ხელფასის მიმღებ პირთა ოდენობის შესახებაც. აქედან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის პროგნოზით, დაუბეგრავი მინიმუმის უფლებით მოსარგებლეთა რიცხვი შესაძლოა, გაიზარდოს და 500 000 ნაცვლად დაახლოებით 600 000 შეადგინოს“, – განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

ამ დროისთვის პირველი აპრილიდან დღემდე შევსებული დეკლარაციების რაოდენობა 394 662-ს შეადგენს, ხოლო დაბრუნებული თანხა 35 728 368 ლარია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრემიერი ბიზნესმენებს მოუწოდებს, ახალგაზრდა სპორტსმენებში ინვესტიცია ჩადონ



როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“ მიმდინარე კონფერენციაზე – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“ განაცხადა, ახალგაზრდა სპორტსმენებში ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში, ბიზნესმენები აუცილებლად მიიღებენ უკუგებას და იამაყებენ თავიანთი წვლილით ამ საქმეში.

„ჩვენი არაერთი ბიზნესმენი აფინანსებს სახელოვან სპორტსმენებს, ისინი კეთილ საქმეს აკეთებენ და ქველმოქმედებას ეწევიან. მინდა შევთავაზო მათ, ახალი ხედვა – შეხედონ ახალგაზრდა, დამწყებ და უკვე პროფესიონალი სპორტსმენების პერსპექტივას, მომავალში ინვესტირების კუთხით, ჩადონ ინვესტიციები“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, სპორტს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება და საჭიროა სახელმწიფომ ამაზე მეტად იზრუნოს.

„უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში პირველად ტარდება სპორტის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც უპრეცედენტოა თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით. იმედი მაქვს, დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ხელს შეუწყობს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას“, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, მთავრობამ, სპორტის განვითარების კუთხით, კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგა – შეიმუშავა ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენისა და ხელშეწყობის პროგრამები, რათა საქართველო ღირსეულად წარდგეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე.

პრემიერი მიიჩნევს, რომ სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლის ქართულ სპორტში და სპორტის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მოხუცი ქალბატონი პენსიის რიგში გარდაიცვალა




ბათუმში, ვაჟა-ფშაველას №48-ში მდებარე „ლიბერთი ბაკნის“ ფილიალში 75 წლის ქალბატონი გარდაიცვალა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, კუთვნილი პენსიის ასაღებად ბანკში მისული ქალბატონი მოულოდნელად მაშინ გახდა ცუდად, როდესაც ბანკს ხალხის ნაკადი მიაწყდა და იგი ჭყლეტაში მოჰყვა. ქალბატონი გულის შეტევით, სასწრაფო დახმარების ჯგუფის მისვლამდე გარდაიცვალა. (პირველი რადიო)

## ბილაინის იღბლიანი აბონენტი 200 ათასი ლარის მფლობელი გახდება

**15 აპრილიდან ფიჭური კავშირგაბმულობის ყველაზე დინამიკურად მზარდმა ოპერატორმა თავისი აბონენტებისთვის ახალი გრანდიოზული გათამაშება დაიწყო. ეს რიგით მერვე გათამაშებაა. წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ისტორიაში ბილაინის იღბლიანი აბონენტები უკვე გახდნენ მანქანების, ბინისა და ფულადი ჯილდოების მფლობელები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მომხმარებელს ყველაზე უფრო ფულადი ჯილდოს მიღება უხარია. შესაბამისად, ახალი გათამაშების 5 იღბლიანი მოთამაშე სწორედ ფულად პრიზებს მიიღებს კომპანიისგან. ყველაზე ყისმათიანს 200 000 (ორასი ათასი) ლარი ერგება, დანარჩენი გამარჯვებულები კი 50 000 (ორმოცდაათი ათასი), 20 000 (ოცი ათასი) 15 000 (თხუთმეტი ათასი) და 10 000 (ათი ათასი) ლარის მფლობელები გახდებიან.**

### როგორ მოვიპოვოთ გამარჯვების შანსი?

გრანდიოზულ გათამაშებაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც არსებულ, ისევე ახალ ან პორტირებულ აბონენტებს. მონაწილეობის პრინციპი კვლავ უცვლელია – ყველა მსურველი უნდა დარეგისტრირდეს ტელეფონიდან სპეციალური კოდის ***500#**-ის საშუალებით და ბალანსის ყოველი 3 ლარით შევსებისას აბონენტი გათამაშების ერთი ბილეთის მფლობელი ხდება. გათამაშების პერიოდში სხვა ქსელიდან ბილაინზე პორტირებული აბონენტი საჩუქრად მიიღებს გათამაშების 5 ბილეთს.

**თეონა ბაღდავაძე, ბილაინის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:** „ბილაინის აბონენტების რიცხვი დინამიკურად იზრდება. 18%-ით გაიზარდა ჩვენი აბონენტების რიცხვი წინა კვარტალთან მიმართებაში. ვთვლით, რომ ეს ყველაფერი ჩვენ მიერ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მართვის დამსახურებაა. პირველ რიგში, სწორი სატარიფო პოლიტიკის და რასაკვირველია, ასევე, დიდია აბონენტებზე ზუსტად ორიენტირებული სხვადასხვა კამპანიებისა და აქციების წვლილიც. გვიხარია, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება, კიდევ უფრო მეტი საინტერესო და სასიამოვნო სიახლე შევთავაზოთ მათ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გათამაშება და პრიზები, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც არსებული აბონენტებისთვის, ისე მათთვის, ვინც შემდეგი ორი თვის განმავლობაში გადმოვა ნათელ მხარეზე.

დარწმუნებული ვარ, რომ პოტენციური აბონენტებისთვის ეს კიდევ უფრო მეტი სტიმული იქნება, რომ გახდნენ ბილაინის მომხმარებლები“.

შეიძლება აღინიშნოს, რომ აქამდე სხვადასხვა კომპანიის მიერ ჩატარებულ წამახალისებელ გათამაშებებში ბილაინის აბონენტები ყველაზე უფრო ღიმილიანი იღბლიანები გახლდნენ.

გარდა წამახალისებელი გათამაშებით მომხმარებლის სტიმულირებისა, კომპანიაში სამართლიანად თვლიან, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია აბონენტებისთვის მომსახურების სრული სპექტრის შეთავაზება. რაც, რასაკვირველია, თავის მხრივ, ტელეფონებით უზრუნველყოფასაც მოიცავს. ბილაინის ოფისებში ყველაზე ოპტიმალურ ფასად შეიძენთ ალკატელისა და ჰუავეის აპარატებს.

**თეონა ბაღდავაძე:** „ჩვენი სატელეფონო ასორტიმენტი მუდმივად იზრდება. გვაქვს ფართო არჩევანი, რომელიც გათვლილია სხვადასხვა მოთხოვნილების მომხმარებლისთვის. ჩვენ მათ ვთავაზობთ არა მარტო სერვისებს, არამედ ხელსაყრელ და კარგ პირობებში მობილურ ტელეფონებს და ვთვლით, ეს ერთ-ერთი საშუალებაა იმისთვის, რომ უფრო მეტი ადამიანი გახდეს ჩვენი ქსელის აბონენტი. ვთანამშრომლობთ ბევრ მწარმოებელთან. თუმცა ვთვლით, რომ ამ ეტაპზე ყველაზე უფრო ხელსაყრელი და ამასთანავე, მოთხოვნადი ალკატელისა და ჰუავეის შეთავაზებებია“.



**უმცირესობის წევრის, გოგა ხაჩიძის მიერ შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის „ამოჩენას“ დოკუმენტურ ფილმ „ენვერში“, შს სამინისტროს მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. არც გოგა ხაჩიძემ გაავრცელა დამატებითი ინფორმაცია. „ალიას“ მცდელობა, პასუხი მიეღო შს სამინისტროდან, უშედეგო აღმოჩნდა — პრესსამსახურმა კითხვებზე არ გვიპასუხა.**

დოკუმენტური ფილმის კადრებში ალექსანდრე ჭიკაიძე იმ ეპიზოდში ჩანს, როდესაც საუბარია ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ გენერალ კლუჟნიკოვის გაშიფვრის დეტალებზე. მონათხრობის მიხედვით, კლუჟნიკოვი 2010 წლის ზაფხულში ბათუმში გამართულ კრის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ სამართალდამცველების ყურადღება წერილის შინაარსში არსებულმა უცნაურმა დეტალმა მიიპყრო. წერილში მითითებული აღმოჩნდა კონცერტის ჩატარების ვადა – წელი, თვე, რიცხვი და საათი, რაც აბსურდი იყო. კონტრდაზვერვამ ივარაუდა, რომ ამ რიცხვების კომბინაცია უნდა ყოფილიყო ამ შიფრის პაროლი და ვარაუდმა გაამართლა. აუდიოფაილში გრიფით „საიდუმლო“ წერილი იყო დაშიფრული. გამოძიებამ დაადგინა რომ გლუჟნიკოვი, 2008 წლის ომის დროს „გრუ“-ს მზვერავებს ქართული ავიაციის ადგილსამყოფლის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას სისტემატურად აწვდიის ფილმსაც. საეჭვოა, თბილისის ერთ-ერთი რაიონის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელს მსგავსი ტიპის ოპერაციაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ გაურკვეველი რჩება, რატომ არ სურს შს სამინისტროს ამ ყველაფერზე პასუხის გაცემა?

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან ჭიკაიძე თანამდებობრივად ყოველწლიურად ერთი საფეხურით ზემოთ მიიწევს – მუშაობას აგრძელებს შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 2012 წლიდან მსახურობს შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად, 2013 წლის მარტიდან იმავე

# რას ამბობს მერაბიშვილისდროინდელი ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჭიკაიძის ოპერაცია „ენვერში“ მონაწილეობაზე?



დე ბურგის კონცერტს ესწრებოდა. მან მომღერლის მიერ შესრულებული ჰიტი ტელეფონით გადაიღო. მეორე დილით ინტერნეტ-კაფეს ესტუმრა და სიმღერა ელექტრონული ფოსტით რუსეთში გაგზავნა. ინტერნეტ-კაფედან გამავალი ტრაფიკი ოპერატიულ-ტექნიკურმა დეპარტამენტმა ჩაიწერა, რის შედეგადაც მოხდა მაილების ამოღება. დეპარტამენტმა წერილის ტექსტისა და თანდართული აუდიოფაილის დეტალური ანალიზი დაიწყო. გადაგზავნილი სიმღერა ორიგინალზე გრძელი აღმოჩნდა. გაჩნდა ეჭვი, რომ გზავნილი დაშიფრულ ინფორმაციას შეიცავდა. ამიტომ ფაილის გაშიფვრა სხვადასხვა პროგრამაში დაიწყეს. ერთ-ერთი გაშიფვრისას ამოვარდა ფაილის ფანჯარა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ეს ფაილი იყო დაშიფრული პროგრამით. პაროლის დადგენის და. მოგვიანებით, კონტრდაზვერვამ აგენტურული ქსელი გამოავლინა, რაც გახდა „გრუ“-ს ჯაშუშური ქსელის უვნებელყოფის სპეცოპერაციის დაწყების საფუძველი.

შეეძლო თუ არა ჭიკაძეს აგენტების აყვანის სპეცოპერაციაში მონაწილეობა? ალექსანდრე ჭიკაიძის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ 2010 წელს, ის შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი იყო. სწორედ ამ პერიოდში ტარდება „ენვერის“ სპეცოპერაცია და იღებენ ამავე სახელწოდების წლის ნოემბრამდე შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობა უკავია, ხოლო მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის პირველი პოლიციელია.

**ინფორმაციის გადასამოწმებლად „ალია“ შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, შოთა უტიაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო შოთა, ნახეთ, ალბათ, გოგა ხაჩიძის მიერ გამოქვეყნებული ფოტო. ნამდვილად მონაწილეობდა ის აღნიშნულ სპეცოპერაციაში?**

– ჭიკაიძეს, იმ დროს დაკავებული თანამდებობის მიხედვით, მონაწილეობა არ უნდა მიეღო ამ ოპერაციაში და არც მიუღია.

**— 2010 წელს, როდესაც სპეცოპერაცია „ენვერი“ განხორციელდა, თქვენ შს სამინისტროში მაღალ თანამდებობას იკავებდით, წესით, უნდა იცოდეთ, საიდან მოხვდა ის ფილმში?**

– როგორც ჩანს, ის უბრალოდ მონაწილეობდა ფილმში, როგორც პოლიციელი, თორემ თავად ოპერაციაში მონაწილეობა არ მიუღია.

ეკა ქარდავა
571 02 78 79

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# აფთიაქებში ნარკოსაშუალებები ურეცეპტოდ ისევ იყიდება



ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 15 აპრილამდე პერიოდში ფარმაცევტული ბაზრის ზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებებით გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად 63 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმია შედგენილი (მათ შორის 2 დარღვევა გამოვლინდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების დარღვევისთვის). „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 4412 მუხლის შესაბამისად, სახდელის ოდენობამ 325 600 ლარი შეადგინა. 22 სააფთიაქო დაწესებულებიდან ურეცეპტოდ სულ გაცემულია 5 396 228 ერთეული პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი (მათ შორის 1-ლი იანვრიდან 15 მარტამდე პერიოდში) – 1 973 378 ერთეული კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატი, რომლებიც 2014 წლის 15 მარტიდან „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში შევიდა. რეჟიმის გამკაცრების შემდეგ (2014 წლის 15 მარტიდან), აფთიაქებში „კოდეინის“ შემცველი კომბინირებული პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები არ დაფიქსირებულა).

სამართალდამცავი ორგანოებიდან მოწოდებული ინფორმაციით, მინიმუმამდე შემცირდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის – „კროკოდილის“ გამოყენების ფაქტები.

2014 წლის 14 იანვარს, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, კონტროლს დაექვემდებარა 6 გენერიული დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი (ბაკლოფენი, გაბაპენტინი, ზოპიკლონი, ზალეპლონი, ტროპიკამიდი, დექსტრომეტორფანის შემცველი კომბინირებული პრეპარატები). კონტროლის ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 14 იანვრიდან 15 აპრილამდე პერიოდში, სპეციალური რეცეპტის (ფორმა №2) გარეშე აფთიაქებიდან გაცემულია 723 815 ერთეული ზემომითითებული 6 ნივთიერების შემცველი სამკურნალო საშუალება. კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 28 895 ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული, 495 ერთეული ვადაგასული, 94 ერთეული საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე I ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი; ასევე 323 ერთეული ვადაგასული, 2887 ერთეული საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, 2384 ერთეული შენახვის პირობების დარღვევით არსებული II და III ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევების საფუძველზე (დარღვევა დაფიქსირდა 3-ჯერ) რეგულირების სააგენტოს უფროსის 2014 წლის 1-ლი აპრილის №02-413/ო ბრძანების საფუძველზე, ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა 1 დაწესებულებას გაუუქმდა. (კვირა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვინ და რისთვის მიიტანა დიღომში ასობით საბურავი?



მოქალაქე გურამ ბერიძის ინფორმაციით, დიდი დიღმის ტერიტორიაზე ასობით საბურავი ჩამოტვირთეს.

„გუშინ გვიან ღამით გადმომიგზავნეს ფოტოსურათი, მომწოდებლის სახელსა და გვარს არ დავასახელებ მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ამ ფოტომასალას ტექსტიც ჰქონდა დართული, სადაც წერდა, რომ ასობით საბურავი დიდ დიღომში მესამე მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო ორი დღის განმავლობაში ვიღაცამ მიიტანა და არავინ იცის, ვინ და რატომ დადო საბურავები იქ“. – აღნიშნა გურამ ბერიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მოიმატებს თუ არა სააღდგომოდ მგზავრობის საფასური?



ცენტრალური და კერძო ავტოსადგურების წარმომადგენელთა ინფორმაციით, სააღდგომოდ მგზავრობის საფასური არ მოიმატებს, თუმცა მძღოლები საპირისპიროს ამტკიცებენ.

მძღოლების განცხადებით, რეგიონების მიმართულებით ტარიფებზე ფასი 2-3 ლარით აიწევს.

ავტოსადგურების თანამშრომლები ზოგადად არსებულ მდგომარეობაზეც საუბრობენ. ყველა მათგანი აღიარებს, რომ მოქმედი ტარიფები მაღალია, მაგრამ ცვლილებების საშუალება არ აქვთ. მძღოლების თქმით, ბოლო პერიოდში მგზავრთა ნაკადი შემცირებულია. ყველაზე აქტიური მუშაობა კი სადღესასწაულო დღეებში აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაული გამოირჩევა.

ავტოსადგურ „გლდანში“ მგზავრობის ყველაზე დაბალი ტარიფი მოქმედებს, თუმცა ავტოსადგურს შეზღუდული რეისები აქვს და საფასო ცვლილებების გატარებას არ აპირებს.

„ჩვენ მგზავრობა არ გაგვიძვირებია. ისედაც მაღალი ფასია და რა უნდა შეგვეცვალა? მით უმეტეს, რომ შეზღუდული რეისები გვაქვს, ყველგან არ დავდივართ. ძირითადად, იმერეთზე ვმუშაობთ“, – აცხადებენ ავტოსადგურ „გლდანში“.

მგზავრობის საფასურის გაზრდას არც ავტოსადგურ „ოკრიბაში გეგმავენ.

არსებული ინფორმაციით, მგზავრობის ფასმა დედაქალაქის ახლოს მდებარე დაბებსა და ქალაქებზე უკვე მოიმატა. ნავთლუღიდან კახეთის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების მძღოლების თქმით, ბილეთი, სულ რაღაც, 50 თეთრით გაძვირდა. როგორც ნავთლუღის ავტოსადგურში ამბობენ, ამას მგზავრთა რაოდენობაზე გავლენა არ მოუხდენია.

ავტოსადგურების ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მძღოლები უკმაყოფილებას არ მალავენ და ამბობენ, რომ სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობისას (განსაკუთრებით შორ რეისებზე) მათი ტრანსპორტი ხშირად ცარიელია. ხალხი ალტერნატიული ტრანსპორტით, მაგალითად, მატარებლით მგზავრობას არჩევს. (ინტერპრესნიუსი)

**„ალია“** ცენტრალურ ავტოსადგურს (ორთაჭალის სადგური) დაუკავშირდა, სადაც განუცხადეს, რომ მგზავრობის ფასს მათთან ბოლო პერიოდში არ მოუმატია და ფასი არც სააღდგომოდ შეიცვლება.

„ჩვენ ძალიან ბევრი მიმართულებით ვახორციელებთ რეისებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – მის ფარგლებს გარეთაც და მგზავრობის ღირებულება არ იცვლება. ქვეყნის აღმოსავლეთის, დასავლეთის, ასევე სომხეთის, თურქეთისა და რუსეთის მიმართულებით ბოლო წლებია იგივე ფასებია და არც სხვა დღესასწაულებზე მომატებულა“. – განუცხადეს „ალიას“ ავტოსადგურის საინფორმაციო სამსახურში.

**ვინ არიან, ეგრეთწოდებული, „სტაიანშიკები?“ გამომძალველები? სად მიდის მათ მიერ მოსახლეობიდან აკრეფილი თანხა? რა შუაშია ამ ამბავში „სითი პარკი“ და მერია?**

**„ალიას“ ესაუბრება „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:**

– ორი კვირაა, ამ საქმეს ვიკვლევ და აღმოვაჩინე შემდეგი: თბილისში ყველამ იცის, რომ პარკირების ზედამხედველები, ანუ „სტაიანშიკები“, ვიღაცას ფულს უხდიან. ამიტომ ლეობს: „სითი პარკი“, რომელიც „პატრონობს“ ამ სიტუაციას და ხალხისგან ამოქაჩული ამ თანხის დიდი ნაწილი მიდის მის ჯიბეში, მეორე ჯგუფი არის მერიის ხალხი



დგომაში, იმ დუბინკებით თავს გაუტეხავენ. საკმაოდ სერიოზულად დგას საქმე, უამრავი ზარი შემოდის ჩვენთან და ხანდახან სისხლის სა-

# ვინ მფარველობს „სტაიანშიკებს“ და ვისთან მიდის წილები?

გამოვყავი ორი ჯგუფი ქალაქის მასშტაბით, რომლებიც ფარული ვიდეოგადაღებებით აწარმოებდნენ მონიტორინგს და ვხედავთ, რომ ამ სიტუაციაში სამი სუბიექტი მონაწი-




(ეს ხალხი ამბობს, მე მერიის თანამშრომელმა დამაყენა და შენ ვინ ხარო) და მესამე, ესენი არიან გაურკვეველი სუბიექტები, ნარკომანები და ლოთები, რომლებიც თავის წილს სთხოვენ ამ „სტაიანშიკებს“.

**— გაარკვიეთ, დღეში დაახლოებით რა თანხა უგროვდებათ ე.წ. „სტაიანშიკებს“?**

– 30-დან 40 ლარამდე. ადგილებიც მინდა გითხრათ, რომელიც უფრო სარფიანია, ეს არის მარჯანიშვილი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ძალიან კარგად მუშაობს წერეთელი და პეკინი. დღის განმავლობაში აქ „სტაიანშიკები“ აკეთებენ 30-40 ლარს. აქედან დაახლოებით 30-40% არის გასავალი, ე.წ. მაყურებლების. აქვე უნდა ვთქვა, რომ ღმერთი არავის გაუწყრეს, და ვინმე არ შეეცილოს ამ ხალხს იქ მართლის საქმეც იკვეთება სწორედ აი, ამ „სტაიანშიკებთან“ დაკავშირებით. კონკრეტულად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გვქონდა ასეთი შემთხვევა, როცა ქალმა მძღოლმა ცუდად გააჩერა ავტომანქანა და დაუტოვა გასაღები „სტაიანშიკს“...

**— გასაღები დაუტოვა? რა, ასეთი რამე მოსულა?**

– როგორ არ მოსულა, ის ენდობა „სტაიანშიკს“ და მანქანის გადაყენებას ანდობს. როგორც კი ეს ქალბატონი მანქანაში ჩაჯდა და ადგილს დაშორდა, ხედავს, რომ „ნოკია-8800“, რომლის ღირებულება არის 2500 ლარი, მას სხვაგვარად „გოლდს“ ეძახიან, მანქანიდან გაქრა. ეს ტელეფონი, სხვათა შორის, ამ რაიონის პოლიციამ მოგვიანებით აღმოაჩინა ავლაბარში და, რომ წავიდა ძიება, თუ ვინ ჩააბარა, გაარკვიეს, რომ სწორედ „სტაიანშიკმა“. ქალმა იმწამსვე მიიტანა ამ კაცზე ეჭვი და მობრუნდა, მაგრამ ეს ზედამხედველი იქ აღარ იყო. ის იმ წუთში იქიდან წავიდა, ტელეფონი გაყიდა სულ რაღაც 1000

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

## დევნილთა დამატებითი სავალდებულო რეგისტრაცია დაიწყო



ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, იმ დევნილებმა, რომლებმაც რეგისტრაციის გავლა ძირითად ვადაში (01.08.13-27.12.13) ვერ მოახერხეს, დევნილთა სამინისტროს უნდა მიმართონ მისამართზე: თბილისი, თამარაშვილის №15ა. დევნილებს, რომლებიც სამინისტროში მისვლას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ, რეგისტაციის გასავლელად სპეციალური ჯგუფი ადგილზე მიაკითხავს, რისთვისაც უნდა დარეკონ სამინისტროს ცხელ ხაზზე – 2 43 11 00.

რეგისტრაციის გასავლელად დევნილმა თან უნდა იქონიოს: დევნილის მოწმობა, პირადობის მოწმობა ან დაბადების მოწმობა. რეგისტრაციის გავლა სავალდებულოა ყველა დევნილისთვის, რათა მათ დევნილის სტატუსი არ შეუჩერდეთ. დევნილებს რეგისტრაციისთვის ჩაწერა სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით შეეძლებათ. (ინტერპრესნიუსი)

## სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიასთან პროცესი წააგო

სადაზღვევო კომპანია „არდისა“ და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს (ე.წ. „პრეზიდენტის დაცვის სამსახურს“) შორის 3 წლის წინათ დაწყებული დავა სააპელაციო სასამართლომ სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვიტა. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამგვარი პროცესის მოგება წინა ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა.

„თავი არ დავაჩაგვრინეთ და 3 წლის განმავლობაში ვედავებოდით ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ სტრუქტურას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი თემურ ჯანაშია ხელმძღვანელობდა. დავა არათანაბარ პირობებში გვიწევდა და ამ სიტუაციას ის ფაქტიც ამძაფრებდა, რომ საბანკო გარანტიებთან მიმართებაში ადრეც და ამჟამადაც არაპროფესიონალური და „სახელმწიფო ყოველთვის მართალია“ მენტალობის მიდგომებია“, – აცხადებენ სადაზღვევო კომპანიაში.

მათი თქმით, კლიენტ-კომპანია ტენდერით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა, უფრო მეტიც, კომპანიას სახელმწიფო სტრუქტურა იმ ობიექტის შეუსრულებლობას ედავებოდა, რომელიც პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ზარ-ზეიმით გახსნა. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური სადაზღვევო კომპანიისგან ითხოვდა საავანსო ანგარიშსწორების თანხებს, როდესაც კლიენტ-კომპანიას მიზნობრივად ჰქონდა თანხები გახარჯული მშენებლობაში, თანაც უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე ავანსად ჰქონდა მიღებული. ეს საქმე გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ არსებობდა და მოპოვებულ იქნა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებიც და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ამას ადასტურებდა. ასეთ პირობებში, როდესაც უდავო ფაქტი იყო სახელმწიფო საავანსო თანხების სწორი ხარჯვა, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან კომპანიის მიზანმიმართულ გაკოტრებას, რის გამოც სადაზღვევო კომპანია თავის კლიენტს თავდაუზოგავად იცავდა.

„არდის“ იურისტის კობა ბობოხიძის თქმით, მისასალმებელია, რომ დღეს სასამართლომ გაიზიარა „არდის“ მოსაზრებები და სახელმწიფო სტრუქტურის ინტერესებზე მაღლა ჭეშმარიტება დააყენა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვინ და რა მიზეზით აცდენს პარლამენტის სხდომებს?



საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს გაცდენების გამო ხელფასიდან 10%-ი ჩამოეჭრებათ. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, უმცირესობის წევრები საკომიტეტო მოსმენებს ძალიან იშვიათად ესწრებიან.

„მნიშვნელოვანია, რომ დეპუტატები ქუთაისში გამართულ საკომიტეტო სხდომებს ესწრებოდნენ. უმრავლესობის წევრების გაცდენები არ ფიქსირდება და ამ სტატისტიკაში მათ სახელსა და გვარს ვერ იპოვით. უმცირესობიდან გაცდენები ძალიან ბევრია“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ოპოზიციონერ კოლეგებს კომიტეტის 15 აპრილის სხდომის გაცდენა არასაპატიოდ ჩაუთვალა. ეკა ბესელიამ „ნაციონალური მოძრაობის“ გამცდენი წევრების გვარები დაასახელა და კოლეგებს გაცდენებთან დაკავშირებით მომზადებული სტატისტიკაც გააცნო. სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი. როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, მის გაცდენასთან დაკავშირებით წარდგენილ შეტყობინებაში მიზეზი მითითებული არ არის, რაც, ბესელიას განმარტებით, არასაპატიო გაცდენაა. დარბაზში არ იმყოფებოდნენ უმცირესობის წევრები: სამველ პეტროსიანი, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური. კომიტეტისთვის წარდგენილ წერილში მათი არდასწრების მიზეზად ოჯახური მდგომარეობაა მითითებული.

„ოჯახური მდგომარეობა საპატიო გარემოებად არ ითვლება, ამიტომ ვერ ჩავთვლი, რომ ეს არის საპატიო გაცდენა“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

საკომიტეტო სხდომას არ დაესწრო უმცირესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი – ომარ მეგრელიძე და მისი პარლამენტში არმისვლის მიზეზადაც ოჯახური მდგომარეობაა მითითებული.

ეკა ბესელიას მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, 2013-2014 წლებში ჩატარებული კომიტეტის 55 სხდომიდან ჩიორა თაქთაქიშვილს გაცდენილი აქვს 35 სხდომა. აქედან 16-საპატიოდ, 19 – არასაპატიოდ. სულ კომიტეტის 18 სხდომას დაესწრო; აკაკი მინაშვილს 55 სხდომიდან გაცდენილი აქვს 36 სხდომა, აქედან 11 – საპატიოდ, 25 – არასაპატიოდ. სულ კომიტეტის 19 სხდომას დაესწრო; ომარ მეგრელიძეს 26 სხდომა აქვს გაცდენილი, აქედან 16 – საპატიოდ, 10 – არასაპატიოდ, დაესწრო კომიტეტის 29 სხდომას; სამველ პეტროსიანს 55 სხდომიდან გაცდენილი აქვს 26 სხდომა, აქედან 16 – საპატიოდ, 8 – არასაპატიოდ. დაესწრო 31 სხდომას; ნუგზარ წიკლაურს 55 სხდომიდან 32 სხდომა გაცდენილი აქვს, 14 – საპატიოდ, 18 – არასაპატიოდ. დაესწრო 23 სხდომას; დეპუტატ მარიამ საჯაიას კომიტეტის რვა სხდომის გაცდენა ეთვლება არასაპატიოდ, ყველა დანარჩენი გაცდენა – საპატიოდ, სასწავლო შვებულების გამო. (რეპორტიორი)

**„ალია“** დაინტერესდა, რამდენი გაცდენის შემდეგ ჩამოეჭრება დეპუტატს ხელფასის 10% და კითხვაზე პასუხის მისაღებად, ეკა ბესელიას გარდა, კომიტეტის რამდენიმე წევრთან სცადა დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ – კომიტეტის თავმჯდომარე ტელეფონს პირველივე ზარზე თიშავდა, კომიტეტის წევრებიდან კი ზოგი ზარს არ პასუხობდა, ზოგის ტელეფონი კი საერთოდ გამორთული აღმოჩნდა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვანო მერაბიშვილმა საკუთარ დაბადების დღეს ციხიდან ახლობლებთან დარეკვა ვერ შეძლო



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მხარდამჭერის, გიგა ნასარიძის ინფორმაციით, პატიმრობაში მყოფ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, იუბილარ ვანო მერაბიშვილს, კანონით მინიჭებული უფლების გამოყენების საშუალება არ მიეცა, დაერეკა ახლობლებისთვის. ნასარიძის თქმით, მის ზარს ოჯახის წევრები და მეგობრები ელოდებოდნენ.

„ვანოს უნდა დაერეკა, ანუ გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლება და საღამოს ხუთ საათზე დაერეკა პარტიაში, სადაც მისი მეგობრები იყვნენ შეკრებილნი. იქ იყო მისი მეუღლეც, თაკო მერაბიშვილი და რა მოხდა? – საღამოს ხუთის ნახევარზე სასწაულებრივად გაფუჭდა ტელეფონი ციხეში“, – იუწყება ნასარიძე.

მერაბიშვილის მხარდამჭერებმა მის დაბადების დღესთან დაკავშირებით „ფეისბუკზე“ სამოყვარულო კამერით გადაღებულ ვიდეო გამოაქვეყნეს, რომელიც მერაბიშვილის დაკავებამდე, მის დაბადების დღეზეა გადაღებული. მას ოჯახის წევრები სიმღერითა და ტორტით ულოცავენ იუბილეს. (ინტერპრესნიუსი)

მეშვიდე გვერდიდან

ლარად, ზაფხული იყო და წავიდა დასასვენებლად და რომ ჩამოვიდა, იმ ადგილს აღარ მიკარებია და დადგა ვარკეთილში, ისევ „სტაიანშიკად“.

**— ეს ხალხი ოფიციალურად არსად ფიქსირდება?**

– საქმეც მაგაშია, რომ არსად! მეტსაც გეტყვით, ჩვენმა მონიტორებმა დაადგინეს, რომ ამ „სტაიანშიკების“ 90%-ს პირადობის მოწმობა არა აქვს, ესეც გამიზნულია იმისთვის, რომ როდესაც სამართლებრივი მოკვლევა იწყება, წესით, უნდა მოხდეს იდენტიფიცირება და მათ ეს არანაირად არ აწყობთ. მახსოვს, რომ გიგი უგულავამ თავის დროზე გააკეთა განცხადება, რომ მერიის პოზიცია ასეთია, ესენი არიან მათხოვრები, თუ გინდათ მიეცით ფული და თუ გინდათ, არაო, მაგრამ ეს ასე იოლი ამბავი სულაც არ არის. გვირეკავს ქალბატონი, რომელიც მეუბნება მსგავს ფაქტს, რომ ზოოპარკთან ჩამოვედი მანქანიდან და უკან რომ დავბრუნდი, იქ „სტაიანშიკად“ ასაკოვანი მამაკაცია, რომელმაც მაგინა, დუბინკა დაარტყა ჩემი მანქანის სახურავს, რადგანაც კედელზე მიწერია 2 ლარი და როგორ თუ შენ 1 ლარს მაძლევ ადგილის საფასურადო. ანუ ისეთი განაგლებულები არიან, რომ დუბინკას გირტყამენ, რაღა მანქანას და რაღა თავში. უკეთესსაც გეტყვით, საჯარო რეესტრის თანამშრომელი ოთხმა „სტაიანშიკმა“ იუსტიციის სამინისტროს პარკირების ტერიტორიაზე სცემეს, მოვიდა პატრული, მაგრამ მათ რეაგირება ვერ მოახდინეს, რადგანაც კაცს უთხრეს, თქვენი ცემა არ დასტურდებაო. ანუ, თუ „სტაიანშიკი“ რეზინის დუბინკით მოკლავს კაცს, პასუხს მერე აგებინებენ.

**— რატომ არიან ასე გაბლატავებულები?**

– მათხოვრობიდან ეს ხალხი გახდა მოძალადე, ითხოვენ, ფული მომეციო და თან დააყოლებენ, გეგმა მაქვს შესასრულებელიო.

**— და რა გეგმა აქვთ ასეთი?**

– ზუსტად მაგაზე ვსაუბრობ, ზოგი მეუბნება, რომ 5 ლარი აქვს გადასახდელი, ზოგიც – 10 ლარიო, მაგრამ ვისთვის აქვთ ეს ფული მისაცემი, ამაზე არაფერს ამბობენ. ორთაჭალის ტერიტორიაზე დადის „ზმვ“, რომელიც ამ ხალხისგან კრეფს ფულს. სხვათა შორის, შარშან დიდუბის პოლიციამ დაიჭირა ამ ამბის ორგანიზატორები, რომელსაც პირდაპირი ბრალდება წარუდგინეს, ესენი ეწეოდნენ უკანონო მოსაკრებლებს, ანუ ეს არის გარკვეული დანაშაულებრივი ჯგუფები.

**— ამაში „სითი პარკია“ ჩართულიო და რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

– მინდა ეს ღიად დავაფიქსირო, ჩვენ ვმუშაობთ შესაბამის სამსახურებთან ერთად და ფილმს ვაყურებინებ ამ კომპანიის წარმომადგენლებს ამის შესახებ, თუ დაინტერესდებიან. საბურთალოზე მივედით „სტაიანშიკებთან“ და შევთავაზეთ ასეთი რამ, რომ იყავით ჩვენი თანამშრომლები და ჩვენთან ერთად აწარმოეთ მონიტორინგი გარკვეული თანხის საფასურად. ეს „სტაიანშიკები“ წამოვიდნენ თანამშრომლობაზე და ის მასალები ჩვენ გვაქვს. დაალო ამ ხალხმა პირი და ჩუმად მეუბნებიან, „სითი პარკიდან“ იყვნენ მოსულები და მითხრეს, რომ შენ თუ შენს ანტიმონოპოლიურ ბირკას გაიკეთებ, აქედან გაგაგდებთო. ვამბობ, ასეთი ხალხი არის დაახლოებით 1000 კაცი მთელი ქალაქის მასშტაბით და მათ აქვთ უზარმაზარი შემოსავალი, ვერც კი წარმოიდგენთ ისეთი, მაგრამ ამით მარტო „სითი პარკი“ არ ხეირობს, როგორც გითხარით. მაინტერესებს, საით იყურება ფინანსური პოლიცია, მე, არასამთავრობო, ვახერხებ იმას, რომ ეს ინფორმაცია ამოვიღო და ისინი რას აპირებენ, იმათ ხომ ამის გაკეთების მეტი საშუალება აქვთ? ვდებ კორუფციულ სქემას, ამ „სითი პარკმა“ რომ შემოხაზა ეს კუნძულები, ეს ადამიანები სპეციალურად მიუმაგრა ამ კუნძულებს, რომ თავისი ფული აკეთოს, იმიტომ, რომ ამ ადგილებიდან თვის მანძილზე შემოსული 600 ათასი, სწორედ „სითი პარკის“ ჯიბეშია.



**— როგორ ფიქრობთ, აი, ამ წერილის შემდეგ რა მოხდება?**

– რა და, „სითი პარკი“ ყოველ ამ „სტაიანშიკს“ გაუფორმებს ხელშეკრულებას და მოხდება ამ ბიზნესის ლეგალიზაცია. ებრაული კომპანიის შემოსვლამდე აქ იყო სეგმენტი, რომელიც მშვენიერ ფულს აკეთებდა, ამ „სითი პარკმა“ ესენი ვითომ გადააგდო, ესენი არ გვჭირდებაო, ამ დროს სჭირდება კი არა, ცალკე თანხას მახდევინებს მერია და ცალკე „სითი პარკი“, ამ „სტაიანშიკებს“ ისევ იყენებს.

**დეტალების გასარკვევად ვუკავშირდებით ლევან ტაბიძეს, „სითი პარკის „წარმომადგენელს:**

– ეს ამბავი სიმართლეს არა თუ არ შესაბამება, მსგავსი რამ არ არსებობს. ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია და კიდევ ვამბობთ: თბილისში არ არსებობს სხვა გადასახადი, გარდა „სითი პარკისა“ და მძღოლი არ არის ვალდებული, ფული გადაუხადოს ამ ხალხს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## რუსმა ოკუპანტებმა სოფელ აძვში ქართველი ჟურნალისტები დააკავეს

დაკავებული არიან ტელეკომპანია **„TV 3“**-ის გადამღები ჯგუფი – ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე, ოპერატორი ვახო ლეკიაშვილი და ტელეკომპანიის ტექნიკური თანამშრომელი მიხეილ მიხოევი.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თავად ტელეკომპანიამ გაავრცელა. ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი სოფელ აძვში საზღვრის გადმოწევის ფაქტის გასაშუქებლად იყო ჩასული, როდესაც რუსმა ოკუპანტებმა დააკავეს.

ერგნეთის საგუშაგოსთან დაკავებული ქართველი ჟურნალისტების ახლობლები და მეგობრები შეიკრიბნენ. მათთვის უცნობია, როდის გაათავისუფლებენ დაკავებულებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გადამღები ჯგუფი არცევის **ФСБ**-ს განყოფილებაში ჰყავთ გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აღნიშნულთან დაკავშირებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ინფორმაცია ცხელი ხაზის საშუალებით მიაწოდა. საქმეში ჩართო საერთაშორისო ორგანიზაციები. უწყებამ ცხელი ხაზის მეშვეობით პირველი ინფორმაცია მიიღო.

„ცხელი ხაზის მეშვეობით შეგვატყობინეს, რომ დაკავებული ჟურნალისტების მხრიდან ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია გამოხატული არ ყოფილა. მათ არც რაიმე მოთხოვნა დაუფიქსირებიათ“, – განაცხადა შსს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა გოჩა რატიანმა.

ჟურნალისტების დაკავების ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა და საქართველოს ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, მიმართონ ყველა შესაძლო ზომას დაკავებული ჟურნალისტების უსაფრთხოდ და დაუყოვნებლივ გასათავისუფლებლად.

„მიუხედავად მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებებისა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის მანკიერი პრაქტიკა, ოკუპირებული ტერიტორიების დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა თუ რუსი სამხედროების მხრიდან, ინტენსიურად გრძელდება. ჟურნალისტთა თავისუფლების უკანონო აღკვეთაზე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება“, – განაცხადა ნანუაშვილმა.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან დაგეგმილ შეხვედრას ქართველი ჟურნალისტების დაკავების საკითხით დაიწყებს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში გამგზავრებამდე საგარეო უწყება ან შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმის კურსში ჩააყენონ. საგარეო უწყების ხელმძღვანელი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ჟურნალისტების დაკავების შემთხვევა მშვიდობიანად დასრულდება და მათ „მალე დავიბრუნებთ“. დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ოკუპანტებმა ქართველი ჟურნალისტები ცხინვალში გადაიყვანეს.

შს სამინისტროს მიერ გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალში მყოფ ჟურნალისტებს ოჯახის წევრებთან სატელეფონო საუბრის საშუალება მიეცათ. „საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს ოჯახის წევრებთან დაკავშირების საშუალება მისცეს და აღნიშნეს, რომ მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვთ და თავს კარგად გრძნობენ“, – განაცხადა შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა გოჩა რატიანმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## დედაქალაქის მერობისთვის მიხეილ-გელა სალუაშვილიც იბრძოლებს



პოლიტიკურმა გაერთიანებამ „უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე“ თბილისის მერობის კანდიდატად მიხეილ-გელა სალუაშვილი დაასახელა.

„საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანების: „უფლის სახელით უფალია ჩვენი სიმართლე“ „უფლისმიერი ლასკარის“ 2014 წლის 14 აპრილის სხდომაზე განიხილეს საკითხი 2014 წლის 15 ივნისს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში, ქ. თბილისის მერობის კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით. დაადგინეს: 2014 წლის 15 ივნისს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში, თბილისის მერობის კანდიდატად დასახელდეს: მიხეილ-გელა სალუაშვილი“, – აღნიშნულია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანების 14 აპრილის სხდომის ანგარიშში.

სალუაშვილი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა. (კვირა)

## ბიზნეს-სემინარზე საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებით უცხოური კომპანიები დაინტერესდნენ



სამხრეთ კორეამ საქართველო-სამხრეთ კორეის ბიზნესსემინარს უმასპინძლა. ღონისძიება საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და კორეის სამრეწველო ფედერაცია **FKI**-ს ორგანიზებით ჩატარდა.

როგორც ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში აცხადებენ, ბიზნესსემინარს 30-მდე წამყვანი კორეული კომპანიების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ შემდეგი სექტორებიდან: უძრავი ქონება და ტურიზმი, ენერგეტიკა და მრეწველობა.

ღონისძიებაზე საქართველოში სხვადასხვა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორებისა და საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ პრეზენტაციებით ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი, გიორგი პერტაია და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, მარიამ ვალიშვილი წარდგნენ.

საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებით ისეთი წამყვანი საერთაშორისო კომპანიები დაინტერესდნენ, როგორებიცაა **Hyundai E&C; KEPCO (Korea Electric Power Corporation)** და **Daewoo E&C**. (ინტერპრესნიუსი)

# რომელი ვადაგასული პროდუქტები იყიდება მარკეტებში?

**„საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის“ წარმომადგენლების ინფორმაციით, მარკეტებში ვადაგასული პროდუქტის გაყიდვის უკვე არაერთი ფაქტი გამოვლინდა. ორგანიზაცია თხოვნით მიმართავს სურსათის უვნებლობის სამსახურს, რათა ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს მარკეტებში პროდუქციის ვარგისიანობასთან დაკავშირებით.**

**რა კვლევა ჩაატარეს და კონკრეტულად რა გამოავლინა „სტუდენტთა უფლებების დაცვის ლიგამ“?**



**„ალიას“ ნოდარ თათვიძეს ესაუბრა:**

– ჩვენი წარმომადგენლები რამდენიმე დღეა, აქტიურად აკვირდებიან პროდუქციის ვადებს, რომელთა ნაწილს ვადა აქვს გასული თუმცა აქტიურად მიმდინარეობს მათი რეალიზება. ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ მარკეტებს, სადაც შევნიშნეთ აღნიშნული ფაქტები, თუმცა მათ შორის არიან როგორც მარკეტები, ასევე, მაღალრეიტინგული სავაჭრო ქსელები.

**— რატომ გახდა აუცილებელი თქვენი ჩართვა ამ საქმეში, ამ თემაზე ხომ ოფიციალური სტრუქტურები მუშაობენ და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებიც ბევრია?**

– კონკრეტულად ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება არ გვიფიქრია, მაგრამ ბევრ ფაქტს ცხოვრებისეულად შევესწარით. თავად ჩვენ ვიყავით რამდენიმე სუპერმარკეტში, სადაც შევიძინეთ პროდუქცია, რომელიც გაირკვა, რომ ვადაგასული იყო. ამის შემდეგ დავინტერესდით ამ თემებით, რამდენიმე სუპერმარკეტი შევამოწმეთ, სადაც ანალოგიური სიტუაციები იყო. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, მიგვემართა შესაბამისი ორგანოებისთვის, რადგან ეს პირველ რიგში ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება.

**— კონკრეტულად რომელ სუპერმარკეტებში აღმოაჩინეთ ვადაგასული პროდუქტი?**

– ამჯერად სუპერმარკეტების დასახელებისგან თავს შევიკავებ გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ შემიძლია, დაგისახელოთ რამდენიმე პროდუქტი.

**— რატომ იკავებთ თავს მათი დასახელებისგან, იქნებ მე კონკრეტულ ერთ მარკეტში ვყიდულობ ყველაფერს და ამ დროს თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ იქ იყიდება უხარისხო პროდუქცია?**

– ეს სუპერმარკეტები სერიოზული ბრენდებია და ამავდროულად, სხვა მარკეტებშიც შევიძინეთ პროდუქცია, სადაც ასევე ვადაგასული პროდუქტები იყო. რამდენშიც ვიყავით, ყველგან იგივე ხდებოდა და იმიტომ ვიკავებთ თავს დასახელებისგან, ამიტომ ვართ ზოგადი, რომ მივმართეთ უკვე სურსათის უვნებლობის სამსახურს, რომ შეამოწმოს აღნიშნული სუპერმარკეტები, ჩატარდეს უფრო მკაცრი მონიტორინგი.

გვინდა, მთლიანობაში მოხდეს ამ მარკეტების შემოწმება, რომ მერე ცალკეულ შემთხვევაში არ აღიქვას ვინმემ, რომ სტუდენტურმა ორგანიზაციამ რომელიმე კერძო კომპანიაზე დაიწყო შეტევა. ასე არ არის, უბრალოდ, ჩვენთვის პრიორიტეტია სიტუაციის გამოსწორება ქვეყნის მასშტაბით.

**— ძირითადად რა სახის პროდუქტებია ვადაგასული?**

– მაგალითად, ენერგეტიკული სასმელები, რომელიც შემიძენია პირადად მე და ცუდად გავხდი, რადგან ვადაგასული აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, სტუდენტები ენერგეტიკულ სასმელებსა და ყავას აქტიურად მოიხმარენ, სადაც სწორედ პრობლემები ჩნდება. ასევე, მივაწოდეთ შესაბამის სამსახურს ლუდის შესახებ ინფორმაციაც. ჩვენ ძირითადად იმ პროდუქტით დავინტერესდით, რასაც სტუნდენტები მოიხმარენ აქტიურად. ჩვენ რაიმე სახის ქიმიური გამოკვლევის ჩატარების საშუალება არ გვქონია, ამიტომ მივმართეთ შესაბამის სამსახურს. ჩვენი, როგორც მომხმარებლის სრული უფლებაა, ვენდო პროდუქტს, რომელშიც თანხას ვიხდი, ის უნდა იყოს სანდო და არ მოხდეს ისე, რომ იმის გამო, ვადას ვერ დავაკვირდი, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. ეს იყო ჩვენი მთავარი მოტივაცია. არა მხოლოდ მომხმარებლის უფლებები ირღვევა, არამედ მომწამლავია. ჩვენ რამდენიმე დღეა, რაც ეს მონიტორინგი გავაკეთეთ, ჯერ მათგან პასუხი არ მოსულა და შემდეგი რეაგირება მოხდება მათი პასუხის შემდეგ.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საპატრიარქო აძვის ტაძართან მოსახლეობის მისვლის პრობლემის მოგვარებას ცდილობს




საქართველოს საპატრიარქო აბაშიძე- კარასინის შეხვედრაზე აძვის წმინდა გიორგის ტაძართან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის საკითხის დასმას ითხოვს.

„საპატრიარქო კიდევ ერთხელ გამოთქვამს გულისტკივილს მავთულხლართების გაბმისა და იმ დამოკიდებულების გამო, რაც ექმნება მოსახლეობას დროებით ჩვენ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დარჩენილ სალოცავებთან მიმართებაში, რის მომსწრეც ახლახან გახდა სოფელ ზედა აძვის წმინდა გიორგის მრევლი.

ჩვენი მხრიდან ადრეც არაერთხელ დაისვა საკითხი რუსულ, აფხაზურ და ოსურ მხარესთან და ახლაც ვთხოვეთ ბატონ ზურაბ აბაშიძეს ბატონ გრიგოლ კარასინთან შეხვედრისას ჩვენი სახელით წამოაყენოს წინადადება, რათა ხალხს დღესასწაულებზე მისცენ საშუალება ისტორიული სალოცავების მოლოცვისა, გარდაცვლილთა დაკრძალვისა, ახლობლებისა და წინაპართა საფლავების მონახულებისა“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ოკუპანტებმა ე.წ. საზღვრის ზოლში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და სოფლის სასაფლაოს ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოაქციეს. მოსახლეობა ტაძარში შესვლის უფლებას ითხოვს. ოკუპანტები ხალხს ე.წ. საზღვრის მანიშნებელთან მიახლოებას უკრძალავენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა სკანდალებს უკავშირდება ზვიად ჯანყარაშვილის გადადგომა?



შს სამინისტროს გენინსპექციის უფროსმა, ზვიად ჯანყარაშვილმა, თანამდებობა დატოვა. დატოვებამდე ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, არ სურს, მისმა თანამდებობაზე ყოფნამ გამოიწვიოს უხერხულობა, საზოგადოებაში დარჩეს რაიმე სახის შეკითხვა, ადგილი ჰქონდეს ხელახალ სპეკულაციებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე და ამით ხელი შეეშალოს იმ დიდ საქმეს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უდგას სათავეში.

„ოცნების“ ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან ჩემს მოქალაქეობრივ ვალად მიმაჩნდა, გვერდში დავდგომოდი კოალიციას და მონაწილეობა მიმეღო იმ ბრძოლაში, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.

არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შემდეგ, ჩავდექი სახელმწიფო სამსახურში. ერთგულად ვემსახურე საერთო საქმეს და პირნათელი ვარ ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარდამავალ პერიოდში ვეხმარებოდი და ერთგულად ვედექი გვერდში მთელ პოლიტიკურ გუნდს, ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს“. – აცხადებს პრემიერის დეიდაშვილი. (ნიუპოსტი)

სოციალურ ქსელებში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ გენინსპექციის უფროსის გადადგომის მიზეზი რამდენიმე კონკრეტულ მიზეზს უკავშირდება. კერძოდ, „ქართული ოცნების“ შტაბში შიხიაშვილის გამო მომხდარ დაპირისპირებას და ბიძინა ივანიშვილის მიერ პრემიერის გაფრთხილებას მისი სიმამრისა და ნათესავების საქმიანობის გამო.

დაპირისპირება კახი კალაძესა და ზვიად ჯანყარაშვილს შორის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გამო დაიწყო. ჯანყარაშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში შიხიაშვილის ჩასმას ითხოვდა, რასაც ენერგეტიკის მინისტრი და „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი კახი კალაძე ეწინააღმდეგებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კახი კალაძე აცხადებდა, თუ შიხიაშვილი იქნებოდა საარჩევნო სიაში, ის შტაბის უფროსის თანამდებობას დატოვებდა. აღნიშნულ საკითხზე ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში შეხვედრაც გამართულა, რის შემდეგაც ჯანყარაშვილმა თანამდებობა დატოვა.

მეორე შემთხვევა ღარიბაშვილის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს უკავშირდება. რამდენიმე დღის წინ ის გულის შეტევით „ჯოენის“ კლინიკაში მიიყვანეს. ადგილების არარსებობის გამო, თამაზაშვილი გულიკო ჩაფიძის კლინიკაში გადაამისამართეს, რის შემდეგაც კლინიკაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უკვე ყოფილი უფროსი, ზვიად ჯანყარაშვილი მივიდა და მედპერსონალს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

## თუ რუსეთი აგრესიას არ შეწყვეტს, სანქციები დაეკისრება



საქართველოში ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, თუ რუსეთი გააგრძელებს აგრესიული პოზიციის გამოვლენას, მას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სანქციები დაეკისრება.

„საქართველოს აქვს ყველა შესაძლებლობა, იყოს განწყობილი, რომ ასოცირების ხელშეკრულებას მოეწეროს ხელი, რამდენადაც ვიცი, ივნისში. რასაკვირველია, ჩვენ გვაღელვებს რუსეთის აგრესია რეგიონში, ის, რაც ხდება უკრაინაში. თუ რუსეთი გააგრძელებს თავისი აგრესიული პოზიციის გამოვლენას, მას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დაეკისრება სანქციები. საქართველოსა და ნებისმიერ სხვა ქვეყანას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად აირჩიოს ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემა, რომელსაც ის თვლის თავისთვის სასარგებლოდ და საჭიროდ. ამდენად, საქართველოს აქვს ყველანაირი განწყობა იმისა, რომ ივნისში მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას“, – განაცხადა ელჩმა. (ნიუპოსტი)

## სააკაძის ძეგლთან ავარია მოხდა



გვიან ღამით სააკაძის მოედანზე ავარია მოხდა. მანქანა ბორდიურზე ავარდა და ძეგლის ქვემოთ დაეცა. დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ამ დროისთვის არ ვრცელდება.

ინციდენტისას მსუბუქად დაშავდა ავტომობილის მძღოლი, რომელიც სამკურნალო დაწესებულებაშია გადაყვანილი. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# უკრაინის ჯარებმა სეპარატისტებზე შეტევა დაიწყეს

გუშინ დონეცკის ოლქში დილიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ბატალიონი შეიქმნა. წვევამდელების პირველი ნაწილი ბატალიონის შემადგენლობაში უკვე შევიდა.




ბატალიონს უკრაინის სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული სამხედროები ემატებიან.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, გუშინვე ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო. მანამდე, ქალაქ კრამატორსკში ტერორისტებმა სამხედრო აეროდრომზე მდგომ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს და დაშვების საშუალება არ მისცეს. ახლომდებარე საჯარისო ნაწილიდანაც ვრცელდებოდა შეტყობინებები, რომ მათ თავს ესხმიან და ადმინისტრაციული შენობების შტურმი დაიწყო. ხარკოვსა და დონეცკში სამართალდამცველთა ნაწილი სეპარატისტების მხარეს გადავიდა და მათ ადმინისტრაციული შენობების შტურმში ეხმარება. ქალაქ სლავიანსკში ანტიტერორისტული ოპერაციის დასაწყებად უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს 500 ჯარისკაცი და დიდი ოდენობის სამხედრო ტექნიკა შევიდა, ხოლო კრამატორსკის სამხედრო აეროდრომზე სპეცოპერაცია უკრაინული ჯარის წარმატებით დასრულდა.

დონეცკის სამხარეო ადმინისტრაციის შენობას 500-მდე შეიარაღებული ბოევიკი და რუსი ჯარისკაცები იცავდნენ. უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, დმიტრი ტიმჩუკის განცხადებით, „შენობის მე-4 სართულზე დამპყრობლებმა პრესცენტრი განათავსეს, ხოლო მე-11-ზე – სეპარატისტული ორგანიზაცია „დონეცკის რესპუბლიკა“. ბოევიკებს 5 სარდალი ჰყავთ, ერთ-ერთი მათგანი ღიად აცხადებს, რომ რუსი სამხედროა და როსტოვის ოლქში მსახურობს“. მისივე ინფორმაციით, შენობის შიდა ეზოში ბოევიკები წვრთნებსა და გადამზადებას გადიან, მათი ასაკი კი 16-18 წელს არ აღემატება.

დონეცკის საოლქო ადმინისტრაციის შენობიდან პრორუსმა აქტივისტებმა უკრაინის გერბი ჩამოხსნეს.

რუსი დეპუტატის, ლიბერალ-დემოკრატების ლიდერ ვლადიმერ ჟირინოვსკის მტკიცებით, 1-ელ მაისამდე უკრაინის ძებნილი ექსპრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი უკრაინაში სამხრეთ-აღმოსავლეთის არმიასთან ერთად დაბრუნდება, რადგან ის ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტია. „არმია უკვე შექმნილია, რომელსაც ჰყავს თავისი სარდლები, შტაბის უფროსები. მათ უკვე დადეს ფიცი უკრაინელი ხალხის წინაშე. მათ კი, ვინც კიევში სხედან, ყველას დააპატიმრებენ, თუმცა, ყველა მათგანი გაიქცევა, რადგან ყველას საკუთარი თვითმფრინავი უყენია“, – აღნიშნა ჟირინოვსკიმ.

ანტიტერორისტულო ოპერაციის დაწყების გამო რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უკრაინისთვის ყირიმში მიტაცებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდება შეწყვიტა, იმ მოტივით, რომ ის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებთა წინააღმდეგ არ გამოიყენონ. რუსული მხარის განცხადებით, დღეისთვის უკრაინას გადაეცა 389 ჯავშანტექნიკა, 8 ვერტმფრენი და სამი საბრძოლო ხომალდი.

მიმდინარე მოვლენების ფონზე, ამერიკის ფინანსთა მინისტრმა ჯეიკობ ლიუმ განაცხადა, რომ აშშ გააგრძელებს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას მის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის დარღვევასთან და ყირიმში არალეგიტიმურ შეჭრასთან დაკავშირებით.

ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ დაწესებულ სანქციებს დასცინის. მან ამ სანქციებს მინიმალური უწოდა და მოუწოდა ამერიკის „ძლიერ, მკაცრ“ ხელმძღვანელობას, „დასავლეთთან ერთად პასუხი გასცეს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში“.

გუშინვე უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა, პარტია „ბატკივშინას“ ლიდერმა იულია ტიმოშენკომ საერთო სახალხო მოძრაობა „ერთიანი ფრონტი რუსული აგრესიის წინააღმდეგ“ დააარსა.

„ოფიციალურად ვაცხადებ საერთო სახალხო მოძრაობის დაარსების შესახებ. ქვეყნის ყველა რეგიონში, ოლქში, ქალაქსა და სოფელში იქმნება სპეციალური სამობილიზაციო პუნქტები, რომლებშიც უკრაინის ყველა მოქალაქეს ექნება საშუალება, ქვეყნის დაცვაში მიიღოს მონაწილეობა“. – განაცხადა ტიმოშენკომ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## უკანონო მოსმენა-მიყურადების კუთხით მხოლოდ ხელშეწყობის პრაქტიკა არსებობს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით, უკანონო მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის კოდექსში“ გათვალისწინებული მუხლებით წინა ხელისუფლების დროს არავინ დასჯილა. მან პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებს უკანონო მიყურადებასთან და ფარული ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები გააცნო.

„დასჯილი კი არა, ხელშეწყობილი იყო ეს საქმიანობა. როდესაც ვამბობ, რომ დაახლოებით 29 ათასი ფაილი იქნა აღმოჩენილი, ეს ფაქტი ყველაფერზე მეტყველებს. დასჯის ნაცვლად, ხელშეწყობის პრაქტიკა არსებობს მხოლოდ“, – განაცხადა იზორიამ.

უკანონო მიყურადებასთან და ფარული ჩანაწერების გამოყენებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა და „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები მკაცრდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფიქრია ჩიხრაძე: იგივე შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ



„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის დაპირისპირებებმა შესაძლოა, წინასაარჩევნოდ სხვა პოლიტიკური პარტიები გადაჩრდილოს.

„შესაძლოა, ასეთი დაძაბული პოლიტიკური ფონი ძალიან ემსგავსებოდეს პირველი ოქტომბრის წინა პერიოდს, როდესაც პოლარიზება მოხდა ამომრჩევლისაც, მედიისაც დაძაბულობასა და ჩხუბზე და გამოიკვეთა მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა. დღესაც არის ამის მცდელობა. როდესაც ასეთი დაპირისპირებაა, შესაძლოა, სხვა ყველა პოლიტიკური ძალა უკანა პლანზე გადავიდეს“, – აღნიშნა ჩიხრაძემ გადაცემა „არჩევანში“.

მისი თქმით, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ეს იყო შანსი, რომ საქართველოში ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვლილიყო და იგივე შეცდომები არ განმეორებულიყო. (რეპორტიორი)



## იუსტიციის მინისტრი ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის არჩამოსვლაში პრობლემას ვერ ხედავს

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ის ყოველთვის ისეთი საქართველოსკენ ისწრაფვის, სადაც მხოლოდ ქართველი ხალხი განსჯის, რა არის მისი მომავლისთვის უკეთესი.

„მე საფრანგეთში გავატარე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი და იქ წარმოუდგენელია, რომ ფრანგი დამკვირვებელს შესცქეროდეს – არჩევნები კარგად ჩატარდა თუ ცუდად. რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდებიან დამკვირვებლები, გულშემატკივრები და ობიექტური შემფასებლები, მაგრამ, თუკი ისინი არ იქნებიან, ჩვენ გვესმის ერთი რამ, რომ ჩვენ აგვირჩია ხალხმა და ის ხალხი ამ არჩევნებზე იტყვის, 2012 წელს მისმა არჩეულმა ხელისუფლებამ დემოკრატიულად ჩაატარა არჩევნები თუ არა. ხალხი არის ის, ვინც აკეთებს არჩევანს ევროპული მომავლის სასარგებლოდ. ევროპული არჩევანი ნიშნავს, რომ არჩევნები უნდა იყოს მშვიდობიან გარემოში ჩატარებული, კანდიდატები შეეჯიბრონ ერთმანეთს ყოველგვარი კვერცხებისა და მუშტების გარეშე. დაძაბული ორი თვეა წინ, ბევრი კანდიდატია და თითოეულმა მოქალაქემ კეთილი უნდა ვინებოთ და ამ ბევრ კანდიდატს შევუქმნათ შეჯიბრის მშვიდობიანი პირობები. თუ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენ ვიქნებით უპასუხისმგებლოები საკუთარი მომავლის წინაშე“, – განაცხადა თეა წულუკიანმა გადაცემა „არჩევანში“. (რეპორტიორი)

## გიორგი ბარამიძე: „ქვეყანა მარგველაშვილ-ივანიშვილის დაპირისპირებას ეწირება“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გია ბარამიძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ უშიშროების საბჭოს სტატუსი დააკნინა.

„უშიშროების საბჭოს სტატუსი დაკნინდა, მას შემდეგ რაც შეიქმნა, ფაქტობრივად, არაკონსტიტუციური ორგანო, უსაფრთხოების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამიტომაც არ იმართება უშიშროების საბჭოს სხდომები. სამწუხაროდ, ქვეყნის უსაფრთხოება მარგველაშვილ-ივანიშვილის დაპირისპირებას ეწირება. ცხადია, რომ საქართველო არის სერიოზული საფრთხის ქვეშ, რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის ტალღის განხორციელების თვალსაზრისით. ეს გამოიხატება, როგორც საოკუპაციო ზოლის, ასევე ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაში. საქართველოს ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და ნაცვლად საზოგადოებში განხეთქილებისა და დაპირისპირების შეტანისა, საჭიროა ძალების კონსოლიდაცია, რათა საქართველო მომზადებული დახვდეს მოსალოდნელ აგრესიას. საჭიროა იმ სტრუქტურების გააქტიურება, რომელიც ამ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გაანადგურა, ვგულისხმობ კონტრსადაზვერვო სტრუქტურებს. ხელისუფლებას საერთოდ არ აქვს ადეკვატური აღქმა არსებული ვითარებისა. საქართველოს შს მინისტრი საუბრობს, რომ რუსეთიდან საფრთხე არ არსებობს, სამაგიეროდ საუბრობს არარსებულ შიდა საფრთხეებზე, რაღაც გადატრიალებებსა და მაიდანზე. არაადეკვატურია ეს ხელისუფლება და არ აქვს წარმოდგენა, რა პასუხისმგებლობა აკისრია“, – განაცხადა გია ბარამიძემ. (პირველი რადიო)




## აზერბაიჯანში მომხდარი ქართველების მკვლელობის ახალი დეტალები

სამართალდამცველების ინფორმაციით, აზერბაიჯანში ქალაქ გახში (კახში) ძმების – 58 წლის იასე და 54 წლის ბესარიონ როსტიაშვილების მკვლელობის მიზეზი ძარცვა იყო და მკვლელობა, სავარაუდოდ, ოჯახის ახლობლებმა ჩაიდინეს. ძიებით დადგენილია, რომ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ძმებმა 18 ათას აზერბაიჯანულ მანათად მიწის ნაკვეთი გაყიდეს და სწორედ ეს თანხა გახდა ძარცვისა და შემდეგ უკვე სასტიკი მკვლელობის მიზეზი. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ჯონდი ბაღათურია: „მისი დაკანონება კი არა, განხილვაც კი სამარცხვინოა“

## რა მოხდა პარლამენტში დისკრიმინაციის კანონპროექტის განხილვისას



პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა 15 აპრილს განიხილა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელიც სხდომაზე ირწმუნებოდა, რომ ამ კანონის მიღება ქვეყნისთვის დამღუპველია.

**„ალია“ „ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა:**

**— ბატონო ჯონდი, რა ნახეთ მაგ პროექტში ისეთი? ევროკავშირი ირწმუნება ჩვენ არაფერს გაიძულებთო...**

– წინამდებარე კანონი აკანონებს ჰომოსექსუალის გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციას, როგორც ზნეობრივ ნორმას და კანონი მათ აძლევს საშუალებას, შევიდნენ სკოლამდელ დაწესებულებებში, განათლების სისტემაში, არმიაში, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სფეროში. ეს კატეგორიულად დაუშვებელია.

**— გაგიმეორებთ, ევროსაბჭომ განცხადება გაავრცელა, უარყოფს, რომ ერთსქესიანთა ქორწინებას ვინმე გვავალდებულებს და თქვენ გაქვთ რამე მტკიცებულება, რომ ასეთი სახით დაკანონდება?**

– ეს არის სიტყვიერი არგუმენტი კანონპროექტის ავტორების და მე ვიმეორებ, თუ ეს არის ფასი, რომ გარყვნილება ნორმად დაკანონდება და ასეთი ადამიანები შევლენ განათლების სისტემაში, მაშინ ჩვენ ამ ფასის გადამხდელები არ ვართ, რადგან არ ვართ მზად ამისთვის. ღმერთმა ნუ ქნას, როდესმე ვიყოთ ამის გადასახდელად. ეს ნიშნავს იმას, რომ ზნეობაზე ვთქვათ უარი. ეს არის არა მარტო ზნეობრივი და მორალური დეგრადაციის მანიშნებელი, არამედ სრული ეროვნული დეგრადაციაც. ჩვენისთანა პატარა ერისთვის ეს არის დამღუპველი. მეტსაც გეტყვით, ეს ნორმა სულ რაღაც ერთი წლის წინათ მიიღეს ამერიკაში „დემოკრატებმა“, დღემდე საშინელი ლანძღვისა და კრიტიკის ობიექტია ამის გამო „დემოკრატები“ „რესპუბლიკელების“ მხრიდან. ისმის კითხვა – 2 წლის წინათ არ იყო ამერიკა დემოკრატიული ქვეყანა? თუ ჩვენ უნდა გავუსწროთ ამაში ამერიკას? ჩვენ უნდა გავუსწროთ ამერიკას ჰომოსექსუალების გაპარპაშებაში?

**— სხდომაზე რა გამოჩნდა, დაამტკიცებენ პროექტს?**

– გეტყვით იმას, რომ უმრავლესობაშიც არაა ერთიანი აზრი ამასთან დაკავშირებით, ეს აშკარაა, ისინი დგანან მტკიცე ზნეობრივ პოზიციაზე, მაგრამ ამ კანონპროექტს ლობირებს არა ვახო ხმალაძე, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე. ამ მედასავლეთეებისთვის დასავლეთს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რელიგიას. ჩემთვის რელიგია არაა ევროპა და დასავლეთი. ჩემთვის ევროპა არის სახელმწიფო მოწყობის ერთ-ერთი წარმატებული მოდელი

> **„ამ ნორმით მარტო ერთსქესიანთა ქორწინება კი არ დაკანონდება, არამედ საბავშვო ბაღში ლესბოსელისა და გეის მუშაობაც. ან მეთაური რომ ჰომოსექსუალი იქნება, როგორ წარმოგიდგენიათ იმ არმიის საქმე?“**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სტომატოლოგიურ დაწესებულებებზე რეგულაციების გამკაცრებას შესაძლოა, უარყოფითი შედეგი მოჰყვეს



საპარლამენტო უმცირესობის წევრს გიგი წერეთელს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრების საფუძვლად იმ არგუმენტების მოშველიება, რომ არ იციან, რამდენი დაწესებულება მოქმედებს ან უფლება არ აქვთ შემოწმების, არ არის მართებული.

„ყოველთვის არსებობს კანონიერი ინსტრუმენტები, რითაც საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის მიღებაც შეიძლება და დაწესებულების გაკონტროლებაც. ბევრი დაწესებულება სისტემატურად უგზავნის სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს“, – აცხადებს დეპუტატი.

მისივე თქმით, სტომატოლოგიური საქმიანობა ბოლო წლების განმავლობაში ძალიან სწრაფად განვითარდა. ამ სფეროში პირდაპირ თუ ირიბად ათასობით ადამიანია დასაქმებული. როგორც სამედიცინო პერსონალი, ასევე სხვადასხვა მასალების, მედიკამენტებისა თუ ინვენტარის მომწოდებელი. სწორედ თავისუფალმა კონკურენციამ და სახელმწიფოს ნაკლებად ჩარევამ განაპირობა უამრავი მაღალი ხარისხის სერვისის მიმწოდებლის შექმნა.

„სტომატოლოგიური დაწესებულებების უმრავლესობას საკმაოდ მაღალი დონის შიდა კონტროლის მოთხოვნები აქვს და ყველას კარგად ესმის, რომ ნებისმიერი შეცდომა ან პაციენტის უკმაყოფილება შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს და პრაქტიკულად, საქმიანობაც ველარ გააგრძელოს. გარდა ამისა, თუკი დაუდევრობის გამო, ასეთ დაწესებულებაში ცე ჰეპატიტის, შიდსის გავრცელება ხდება, ასეთ შემთხვევებშიც კანონი მკაცრია. ამიტომ თავად დაწესებულებების მოტივაცია, რომ შეინარჩუნონ მაღალი ხარისხის და რაც მთავარია, უსაფრთხო მომსახურება, ძალიან მაღალია“, – მიაჩნია გიგი წერეთელს.

დეპუტატის განცხადებით, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არ ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ამგვარმა რეგულაციებმა, შეიძლება ამ სექტორში სამუშაო ადგილების შემცირება და ფასების ზრდაც გამოიწვიოს. მისი თქმით, რეგულაციები გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოექცეს.

„ამ ჩარჩოში არ ჯდება ფართებზე 14 კვ.მ-ის დაწესება და ზოგიერთი სხვა მოთხოვნა. ასევე, ტექნიკური გადაიარაღებისა და პანდუსების მოწყობისთვის სათანადო ვადები უნდა არსებობდეს, რა პერიოდშიც დაწესებულებები არ დაჯარიმდებიან. სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს, რომ სტომატოლოგიური მომსახურება მოსახლეობისთვის გაცილებით ხელმისაწვდომი გახდეს“, – აცხადებს წერეთელი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი სასამართლო ხელისუფლებას ვერ შეეხება




იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა წინა არჩევნებზე ამავე ტიპის მორატორიუმი გამოაცხადა და ეს ტრადიცია გრძელდება.

„ეს მორატორიუმი ხელს შეუწყობს ყველა კანდიდატს, რადგან მათ ინტერესშია ის გამოცხადებული. თუკი რომელიმე კანდიდატი, ან რომელიმე საარჩევნო შტაბის აქტიური წევრი სისხლის სამართლის რომელიმე საქმეზე იმხილება, ან მოწმედ შეიძლება, იყოს გამოძახებული, ასეთ შემთხვევაში პრემიერმა სამართალდამცველ ორგანოებს მოუწოდა, რომ ეს არ მოხდეს მომდევნო 2 თვის განმავლობაში ორი გამონაკლისით და ეს ჩვენ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებში დავაზუსტეთ: პირველი – თუ არსებობს გარდაუვალი აუცილებლობა და ასეთს ხანდახან ვაწყდებით ხოლმე სისხლის სამართლებრივი დევნის პირობებში; თუ რომელიმე სამართალდამცავი სტრუქტურა საპროცესო კანონით დადგენილი საპროცესო ვადების დარღვევის საფრთხეს აწყდება“, – განმარტა მინისტრმა. (ფრონტნიუსი)

## სომხეთში საქართველოს მოქალაქე შემთხვევით დააკავეს



სომეხი სამართალდამცავების მიერ საქართველოს მოქალაქის დაკავება შემთხვევით მოხდა. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ კლინიკაში მედიკამენტოზური მოწამვლით საქართველოს ორი მოქალაქე მოათავსეს. მოწამლულების ვინაობის გარკვევისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი, 1979 წელს დაბადებული პირი, დამნაშავე იყო. ის ექვმიტანილია ყაჩაღობასა და ძარცვაში. (პირველი რადიო)

## აჭარაში ტრეფიკინგისა და პროსტიტუციაში ჩაბმის ფაქტი გამოვლინდა



საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ერთობლივად გატარებული ღონისძიების შედეგად, ორი პირის მიმართ ტრეფიკინგისა და თაღლითობის ორი ეპიზოდის ჩადენის ფაქტზე, დაკავებულია უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ოდინახონ ბობოევა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის 16 აპრილს, ოდინახონ ბობოევამ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მოლარე ელენე კარტულიდს, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქეების საქართველოში ჩამოსასვლელად მოტყუებით გამოაწერინა 5681 ლარის ღირებულების, ტაშკენტი-ალმა-ატასა და ალმა-ატა-თბილისის მიმართულების თვითმფრინავის ბილეთები, რის შემდეგაც 2013 წლის 18 აპრილს, უზრუნველყო უზბეკეთის რესპუბლიკიდან ნილუფარ ხაიტოვასა და მოჰირაჰონ სიბიროვას ჩამოყვანა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში და საცხოვრებლად მოათავსა ნაქირავებ სასტუმროში. ამის შემდგომ ოდინახონ ბობოევამ მათ ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტები, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, შანტაჟითა და იძულებით, მოახდინა ხსენებული პირების გადაბირება, პროსტიტუციაში ჩაბმა და 2013 წლის 13 ოქტომბრამდე მათ მიმართ ახორციელებდა ტრეფიკინგს.

2013 წლის აგვისტოში, ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა №5-ში არსებულ შპს „ნათელაში“ ოდინახონ ბობოევა ტრეფიკინგის მსხვერპლთა პასპორტების გამოყენებით მოტყუებით დაეუფლა ხსენებული ფირმის დილერის სონია ისხნელიძის კუთვნილ 6646 ლარის ღირებულების ორ ოქროს ძეწკვსა და სამაჯურს.

ოდინახონ ბობოევას ბრალი ედება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 4-7 წლამდე და 11-15 წლამდე ვადით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

მეთერთმეტე გვერდიდან

თავისუფალი სასამართლოთი, თავისუფალი ინსტიტუტებით და ჩვენ გვინდა ამ მოდელის გადმოღება იმისთვის, რომ მოხდეს ქვეყნის მოდერნიზაცია. ზნეობრივი მოდელის აქ შემოტანა, როგორიცაა გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაცია, ამ ხალხის შეშვება სკოლებსა და ბაღებში სრულიად სამარცხვინოა. მისი დაკანონება კი არა, განხილვაც კი სამარცხვინოა. ძალიან აქტიურია „რესპუბლიკური პარტია", მაგრამ ბევრი მოკავშირე გვყავს პარლამენტში და ვიმედოვნებ, რომ ამ კანონის მიღებას არ დავუშვებ.



ზნეობრივი დეგრადაციის ნორმების საკანონმდებლო დონეზე ლობირების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. არანაირი განსხვავებაა არაა ამ კუთხით. ამ ნორმით მარტო ერთსქესიანთა ქორწინება კი არ დაკანონდება, არამედ საბავშვო ბაღში ლესბოსელისა და გეის მუშაობაც. ან მეთაური რომ ჰომოსექსუალი იქნება, როგორ წარმოგიდგენიათ იმ არმიის საქმე? ან სასჯელაღსრულების სისტემაში ჰომოსექსუალთა მუშაობა როგორ წარმოგიდგენიათ? გაიხსენეთ, ახლო წარსულში ციხის კადრები რომ გვიჩვენეს, სადაც სასჯელაღსრულების თანამშრომლები აუპატიურებდნენ პატიმრებს და ამას ჰქონდა მასობრივი სახე, მეტიც, 25 ათასზე მეტი გაუპატიურების ჩანაწერი აღმოაჩინა ირაკლი ღარიბაშვილმა შს მინისტრობის დროს და საქმეა ამაზე აღძრული. ვინ აკეთებდა ამას? ის, ვინც ჰომოსექსუალი იყო. აბა, კაცს ხომ არ მიუდის გული კაცისკენ სექსუალური თვალსაზრისით, რაც არ უნდა დავალება მისცენ? ყველა ეს დანაშაული ჩაიდინეს ჰომოსექსუალებმა. არ შეიძლება მათი მუშაობა ძალოვან სტრუქტურებში, არა. მეტიც, სამსახურიდან რომ გაათავისუფლო „ლგბტ" ადამიანი ცუდი მუშაობის, ან დაგვიანების გამო, წავა სასამართლოში და სასამართლო უპირობოდ აღადგენს. სამაგიეროდ იგივე მიზეზის გამო სხვა ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანის დათხოვნა პრობლემა არ იქნება. ეს უარესი დისკრიმინაცია არაა? ეს კანონი მოახდენს ადამიანების მიდრეკილებას ამ გაუკუღმართებისკენ.

**— რას აპირებთ, თუ პარლამენტმა ეს კანონი მიიღო?**

– ჯერ ვხედავ, რომ არის პერსპექტივა ამ თემაზე მოლაპარაკებების პარლამენტში, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ზნეობრივი საკითხები. ამას ვერაფრით დავუშვებთ ვერაფრის ფასად და ყველაფერს გავაკეთებთ მის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ამ ფასს არ გადავიხდით ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

**რედაქციისგან:** სხვათა შორის, სხდომაზე ჯონდი ბაღათურიასა და ვახტანგ ხმალაძეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

**ჯონდი ბაღათურია:** როგორ წარმოგიდგენიათ, საბავშვო ბაღში დასაშვებია, აღმზრდელი იყოს ჰომოსექსუალი?

ვახტანგ ხმალაძე: ერთი კითხვა მინდა დაგისვათ. ვთქვათ, ადამიანი არის არასტანდარტული სექსუალური ორიენტაციის, სად შეიძლება იმ ადამიანმა იმუშაოს? თქვენი აზრი მაინტერესებს.

ჯონდი ბაღათურია: კი, ბატონო, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იმუშაოს ბავშვებთან. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იმუშაოს სასჯელაღსრულების სისტემაში, თავდაცვის სისტემაში, დანარჩენი, სადაც უნდა, იმუშაოს.

ვახტანგ ხმალაძე: თქვენი პარტიის წევრი შეიძლება იყოს ასეთი ადამიანი?

ჯონდი ბაღათურია: ჩემი პარტიის წევრი ასეთი ადამიანი ვერ იქნება.

ვახტანგ ხმალაძე: არა, შეიძლება იყოს? თუ მოვიდა, მიიღებთ? და თუ აღმოჩნდა, რომ თქვენი წევრი არის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გარიცხავთ?

ჯონდი ბაღათურია: ჩვენს პარტიაში ასეთი ადამიანები არ მოდიან, იმიტომ, რომ, როგორც წესი, ასეთ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი პარტია ასეთი ადამიანების დისკრიმინაციის მომხრეა. არანაირად არ ვართ ამის მომხრე.

ვახტანგ ხმალაძე: პარტიაში შეიძლება იყვნენ?

ჯონდი ბაღათურია: ეს მათი უფლებაა... არ გვინდა, რა, ბატონო ვახტანგ, ცინიკურ ფორმაში გადატანა.

საინტერესოა, დავუშვათ და, მოგვიანებით რომც აღმოაჩინოს ბაღათურიამ ასეთი ადამიანი თავის პარტიაში, რატომ არ უნდა გარიცხოს? თუკი ადამიანი ტყუილით მოვიდა და დამალა, ვინ არის და რას წარმოადგენს, რატომ უნდა დაიტოვოს მატყუარა ადამიანი პარტიაში? მატყუარა მატყუარაა და რა მნიშვნელობა აქვს როგორი ორიენტაციისაა?



# გრიგოლ ვაშაძე: „ხელისუფლება არ გვყავს!"

საგარეო საქმეთა ექსმინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ეხმიანება.

„ჩუმად არიან – ხელისუფლება არ გვყავს, ხმას ამოიღებენ და, ნეტავ, არაფერი არ ეთქვათ. დღეს „გარყვნილების ბუდეში" როგორც იქნა შესული მარგველაშვილი აცხადებს: „ორი წინადადებით შემიძლია გიპასუხოთ. ჩვენ ამ ეტაპზე არ ვაფიქსირებთ რაიმე ღია დაპირისპირებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს რუსეთის ფედერაციასთან. არ ვხედავთ ღია საფრთხეს". ვიღაცამ უშველეთ რიგით მარგველაშვილს! შეატყობინეთ, რომ საქართველოს სუვერენული ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ასობით ათასი ადამიანი დევნილი ან იძულებით გადაადგილებული პირია, ოკუპაციის ხაზთან საქართველოს მოქალაქეების გატაცება რუსების საოკუპაციო ძალების მიერ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ხოლო შეერთებული შტატების კონგრესის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე გვაფრთხილებს საოკუპაციო ძალების მკვეთრ ზრდაზე ცხინვალის რეგიონში. ვისთან გვაქვს ღია დაპირისპირება მაშინ? თუ მარგველაშვილის „ჩვენში" საქართველო არ იგულისხმება?", – წერს გრიგოლ ვაშაძე სოციალურ ქსელში. (ფრონტნიუსი)

# რაზე ისაუბრეს პან გი მუნმა და ვლადიმერ პუტინმა?



გაერო ორგანიზაციის გენერალურ მდივან პან გი მუნსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შინაარსს ავრცელებს. გაერო-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა და განაცხადა:

„კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავება უკიდურესად საზიანო იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აქედან გამომდინარე, ყველამ უნდა იმუშაოს, რათა სიტუაცია განიმუხტოს". (ფრონტნიუსი)

# ახალგაზრდული პარლამენტის შესარჩევი ეტაპი დასრულდა



სხვადასხვა სფეროს ექსპერტებითა და ახალგაზრდული პარლამენტის აღმასრულებელი საბჭოს წევრებით დაკომპლექტებულმა შემრჩევმა კომისიამ, 2 000-მდე კანდიდატიდან

ახალგაზრდა პარლამენტარის მანდატი 100 ახალგაზრდას უნდა მიანიჭოს. როგორც ახალგაზრდული პარლამენტის დამფუძნებელმა თეონა ლავრელაშვილმა განაცხადა, შერჩეული 100 ახალგაზრდის ვინაობა ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

„საქართველოს ახალგაზრდულმა პარლამენტმა მთელი საქართველო მოიცვა. წევრობის სურვილი გამოთქვეს ახალგაზრდებმა ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონებიდან. ინტერესი ახალგაზრდული პარლამენტის მიმართ ყოველწლიურად იზრდება, რადგან ეს ის ადგილია, სადაც შრომისმოყვარე და გაბედული ახალგაზრდები იდეების გარშემო ერთიანდებიან და წვლილი შეაქვთ უკეთესი მომავლის მშენებლობაში". – განაცხადა თეონა ლავრელაშვილმა. (ფრონტნიუსი)

# ავარიის ლიკვიდაციის მიზნით საბურთალოს რაიონის გარკვეულ ქუჩებს გაზმომარაგება შეუწყდება




„ინტენსიფიკაციის ქუჩაზე გამავალ საშ/წნევის მიწისქვეშა გაზსადენზე ავარიის ლიკვიდაციის მიზნით, 16 აპრილს 09.00 საათიდან 17.00 საათამდე გაზმომარაგება შეუწყდება: ზემო ვეძისის, მგალობლიშვილის, ონიაშვილის ქუჩების მოსახლეობის ნაწილს, ასევე გაგარინის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ოფისს, მოსახლეობის ნაწილს კი გაზი მიეწოდება დაბალი წნევით. ასევე სოფ. დიღმის მოსახლეობის ნაწილს, ვაშლიჯვრის დასახლებას. აღმაშენებლის ხეივანში მდებარე კომერციულ და საზკვების ობიექტებს. ს. ლისის მოსახლეობას და მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ კომერციულ და საზკვების ობიექტებს, ნუცუბიძის 3მ/რ – კვ. 2, 3, 4-ის კორპუსებს, მიმდებარე კერძო სექტორს და ნუცუბიძის 5მ/რ-ის კორპუსებს გაზი მიეწოდებათ დაბალი წნევით", – აცხადებენ კომპანიაში.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" ბოდიშს უხდის აბონენტებს დისკომფორტისთვის და მოუწოდებს მათ დაკეტილ მდგომარეობაში იქონიონ ბინებში არსებული გაზის ონკანები, უყურადღებოდ არ დატოვონ გაზის დანადგარები.

„გაზის დანადგარებთან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ავარიებზე კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას", – განმარტავენ შპს „ყაზტრანსგაზში". (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აძვში ჟურნალისტების დაკავებას საგანგებო განცხადებით ეხმაურება

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია სახელმწიფო უწყებებს მოუწოდებს, იზრუნონ მედიის წარმომადგენელთა დაუყონვებლივ განთავისუფლებაზე.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია შეშფოთებას გამოთქვამს ტელეკომპანია „ტვ 3"-ის გადამღები ჯგუფის დაკავების გამო. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მიმართავს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, იზრუნონ ტელეკომპანიის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ განთავისუფლებაზე, ქარტია ასევე მიმართავს ცხინვალში მომუშავე კოლეგებს, დაინტერესდნენ შექმნილი ვითარებით", – ნათქვამია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# ქართველ ჟურნალისტებს ბრალს საზღვრის დარღვევაში სდებენ



პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის, მურატ ჯიოევის თქმით, საქართველოს მოქალაქეებმა სოფელ აძვში სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეს. მისი განცხადებით, ჟურნალისტების ვინაობა და „სახელმწიფო საზღვრის" დარღვევის გარემოებები დგინდება.

სოფელ აძვთან ოკუპანტებმა ქართველი ჟურნალისტები დააკავეს, რომლებიც წმინდა გიორგის ეკლესიას იღებდნენ. (რეპორტიორი)

# ზაზა ფირალიშვილი: „ძალიან რთულ და საშიშ ფაზაში შევდივართ“

**ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილთან:**

**— გასულ კვირას რუსეთის პატრიარქმა კირილმა მართლმადიდებელ მრევლს ცივილიზებულ სამყაროსთან საბრძოლველად კონსოლიდაციისა და ბრძოლისკენ მოუწოდა. მის მიმართვაში თვალშისაცემი გახლდათ მეორე მსოფლიო ომისდროინდელი რიტორიკა და სტალინის სიტყვების პერიფრაზირების მცდელობები. ასე მაგალითად: „ჩვენ ფაშიზმი ადრეც დავამარცხეთ და კიდევ დავამარცხებთ. ცხადდება მობილიზაცია რუსოფობების, კერძოდ ფაშისტი-ბენდერეველების, კიევის არაკანონიერი ხუნტის წინააღმდეგ. ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ გავიმარჯვებთ!“. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის პატრიარქის მოწოდება?**



– ძალიან რთულ და საშიშ ფაზაში შევდივართ. ამგვარ განცხადებებს ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს. ამას რელიგიურად კომუფლირებული იმპერიული პათოსის მეტს ვერაფერს შეარქმევ ადამიანი. რა ქრისტიანობაზეა საუბარი, როდესაც არც ერთ რუს თვალსაჩინო რელიგიურ მოღვაწეს აზრადაც არასოდეს მოსვლია, თავისი მრევლისთვის მთელი კაცობრიობის წინაშე 70 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის მონანიებისაკენ მოეწოდებინა, ხოლო ამ ოციოდე წლის წინათ გერმანელი რელიგიური ლიდერების მოწოდებას, რუსეთსა და გერმანიას ერთმანეთისთვის ერთმანეთის მიმართ ჩადენილი დანაშაული შეენდოთ, მხოლოდ თვითკმაყოფილი პასუხები მოჰყვა, ჩვენ ცოდვა არ მიგვიძღვის, თქვენ კი უნდა მოინანიოთო.

პატრიარქმა კირილმა ჯერ კიდევ თავისი მიტროპოლიტობის დროს დაიკავა აღორძინებადი რუსული იმპერიის მთავარი იდეოლოგის პოზიცია და, ალბათ, ამანაც განსაზღვრა მისი პატრიარქობა. ამ ათიოდე წლის წინათ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე გამოსვლისას ის მსოფლიო პატრიარქს პირდაპირ მიუთითებდა, რომ თავი პაპი არ ჰგონებოდა, რომ კარგად უნდა ხსომებოდა, მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკლესია რუსულია, ხოლო თუ მაინცდამაინც, დედა ეკლესია იერუსალიმის ეკლესიაა. ვისაც თვალი მიუდევნებია გასული საუკუნის 90-იანი წლების მსოფლმხედველობრივი პროცესებისთვის რუსეთში, შეამჩნევდა იქ არსებულ სრულ ქაოსსა და საკუთარი იდენტობის დადგენის ზოგჯერ ფანტასტიკურ მცდელობებს. სწორედ ამ ვითარებაში გამოდიან წინა პლანზე გუნდიაევი და დუგინი, რომელთა იდეოლოგიური და პოლიტიკური როლიც დღეს ძნელია, გადაჭარბებით შეფასდეს. რუსული ეკლესიის როლი დღევანდელ მართლმადიდებელ და არა მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანულ სამყაროში ისეთივე დესტრუქციულია, როგორიც რუსული სახელმწიფოსი – ევროპულ სივრცეზე.




როგორც ჩანს, კირილიც იმპერიული რიტორიკის ტყვეობაშია და არც კი დაფიქრებულა, მისი განცხადება რა პროცესებს აღძრავს რუსეთში, ცოტა ხანში ამ ქვეყანაში ცხოვრება საშიში აღმოჩნდება ნებისმიერი არარუსისთვის. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რა ცენტრიდანული ძალები გაიღვიძებს არარუსულ რეგიონებში. ასეთი განცხადებებით საკუთარი ქვეყნის ირგვლივ თავადვე ქმნის მტრულ გარემოცვას. ერთხელ გაღვიძებული იმპერიალისტური ინერცია ზვავისებრად ძლიერდება. მეორე მხრივ, ასევე ზვავისებრად იზრდება უშუალოდ რუსეთის გარემოცვაშიც და სხვაგანაც ანტირუსული განწყობები. ასე შეიძლება ისეთი დღეც დადგეს, როდესაც რუსული იმპერიის მიმართ უნდობლობა და შიში საყოველთაო ნორმად და ბრძოლის ნებად იქცევა. ამას უკვე ველარაფერს უშველი დიპლომატიური თვალთმაქცობით თუ ენერგორესურსებით მანიპულირებით. ასეთი განცხადებებითა და ქცევით რუსული პოლიტიკა საკუთარ თავს თავად იყენებს მდგომარეობაში, როდესაც მასთან დიალოგი არა მხოლოდ არასასურველი, მეტიც, დაუშვებელი ხდება. დღეს ეს რუსეთში, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთეულებს ესმით. უდიდესი ნაწილი იმპერიალისტური ინერციის ტყვეობაშია.

რთული პროცესები გველის. ყველაფერი იქით მიემართება, რომ მალე დასავლეთი იძულებული გახდება, აღიაროს, რომ რუსეთის დემოკრატიზაციის მცდელობები აბსურდული ისტორიული ექსპერიმენტი იყო და რომ იმპერიალისტურ ფსიქოპათიას რბილი პოლიტიკით ვერაფერს უშველი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უამრავი ტკივილი გადავიტანეთ, უამრავი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ამგვარ და მსგავს განცხადებებს რომ მოისმენ კაცი, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ყველაფერი ეს ღირდა, ოღონდ კი ამ სამყაროსთვის თავი დაგვეღწია.

**— თქვენი აზრით, პატრიარქ კირილის ამ მოწოდებაზე, უნდა დააფიქსიროს თუ არა თავისი დამოკიდებულება ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, ანაც მსოფლიო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ? და სავარაუდოდ, როგორი შეიძლება ის იყოს?**

– რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის პოზიციას, მისგან მკვეთრ განცხადებებს არც უნდა ველოდეთ, ჯერ ერთი, საეკლესიო პოლიტიკის თავისებურების მიზეზით და, ამასთანავე, თავად ეკლესიაში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო. რუსული ეკლესიის პოზიცია საკმაოდ სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის. ბევრ ჩვენს მორწმუნეს ვერ დაუნახავს განსხვავება ევქარისტიულ კავშირსა და პოლიტიკურ ალიანსს შორის. ჰოდა, რუსული იმპერიალიზმი და პუტინისტური პროპაგანდა დღეს ჩვენში სწორედ ამაზე თამაშობს, თანაც ამ კავშირში სტალინიზმის საკმაზსაც ურევს. (კობა ბენდელიანი. „ინტერპრესნიუსი“).

## აფხაზეთში საერთაშორისო ავია და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა იგეგმება



აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო ლიდერმა ალექსანდრ ანქვაბმა რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ აფხაზეთში საერთაშორისო ავია და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა დაგეგმილია, მაგრამ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები.

„ეს საკითხები ჩვენს რუს პარტნიორებთან ერთად დიდი ხანია განიხილება, მაგრამ საჭიროა იმის გაგება, რომ არსებობს ობიექტური წინააღმდეგობები მათი სრულმასშტაბიანი რეალიზაციისთვის. მაგალითისთვის, ეს ეხება რუსეთთან ავიამიმოსვლას, მაგრამ წინააღმდეგობა უკავშირდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას“, — აღნიშნა ანქვაბმა.

მისი თქმით, რეგულარული სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და მოსკოვს შორის გახსნილია და მატარებელიც რეგულარულად მოძრაობს.

„სხვა საქმეა, რომ არსებობს დიდი მოთხოვნა სარკინიგზო გადაზიდვებზე, მაგალითად, რუსეთის მსხვილი ქალაქებიდან და აფხაზეთი ამ საკითხის განხილვას აპირებს“, — განაცხადა ანქვაბმა.

მისივე თქმით, ასევე დიდი მოთხოვნაა საზღვაო სამგზავრო გადაზიდვებზე.

„გასული წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გაგრასა და სოჭს შორის მიმოსვლა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ალბათ, აქვს აზრი ზაფხულში ასეთი მიმოსვლა სხვა პორტებთანაც განხორციელდეს“, — განაცხადა ანქვაბმა. (ინტერპრესნიუსი)

## საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მედიკამენტების უკანონო შემოტანის შემთხვევები დაფიქსირდა.



შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 13 აპრილს სადგურ „ვალეს“ ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა გერმანიის მოქალაქე, რომლის ბარგის დათვალიერებისას მებაჟე ოფიცრებმა 10 აბი მედიკამენტი **TRAMADOLINE** აღმოაჩინეს. 15 აპრილს საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელსაც ბარგის დათვალიერებისას აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება „ბრომაზეპამის“ შემცველი მედიკამენტი **LEXOTANIL**-ის 34 აბი. უწყების ინფორმაციით, ორივე საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. (ინტერპრესნიუსი)

## ხვნის ბარათის გამოყენების ვადა 1-ელ ნოემბრამდე გახანგრძლივდა



მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, ის ბენეფიციარები, რომლებიც ხვნის სამუშაოებს შემოდგომაზე ახორციელებენ, ბარათის გამოყენებას 1-ელ ნოემბრამდე შეძლებენ.

პროექტით მოსარგებლეებს საშუალება ეძლევათ, ზაფხულში მოსავალი აიღონ და ხვნის სამუშაოები სექტემბერ-ოქტომბერში ჩაატარონ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, დღეის მდგომარეობით, „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით 58, 496 ჰექტარი მიწის ფართობი მოიხნა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60%-ით მეტია.

ამ ეტაპზე, „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემულია 362,187 აგრობარათი და განაღდებულია 3 390 500 ლარის ეკვივალენტური ქულა. პლასტიკური აგრობარათების აღება პროექტის ბენეფიციარებს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში 1-ელ ივნისამდე შეუძლიათ.

პროექტის ფარგლებში ასევე განაღდებულია 73 884 სახნავი ბარათი, რომელთა ჯამური ღირებულება 7 001 165 ლარია.

„აღსანიშნავია, რომ წინა წლისგან განსხვავებით 2014 წელს პროექტში ჩართულია თბილისს შემოერთებული სოფლების 4 660 ბენეფიციარი, რომელთა სარგებლის ჯამური თანხა 318 150 ლარს შეადგენს“, – აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

„მცირემიწიან ფერმერთა წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ მეორე წელია მიმდინარეობს. 2014 წლის პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო ფერმერებს ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოში – ხვნაში ეხმარება. შპს „მექანიზატორი“ წელსაც აქტიურად არის ჩართული პროექტში. ამ ეტაპისთვის უკვე მოხნულია 58 496 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, აქედან „მექანიზატორმა“ 45017ჰა მიწის ფართობი დაამუშავა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯამში 800 000-მდე მიწის მესაკუთრეს დაეხმარება. „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები არიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰა ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ერთწლიანიანი, მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ. (ინტერპრესნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დიეგო არმანდო ...
2. სახლის გადასახურავი კერამიკა
3. ფაშვის წვნიანი
4. ბალჩეული
5. ყავისფერი პიგმენტი
6. „მუმუ“ ავტორი
7. გიტარის მავთული
8. მსახ. ... ღაღანიძე
9. ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა
10. ორგანიზმის ძალების აღდგენა
11. უნგრელი კომპოზიტორი
12. ვაქცინაცია
13. ღმერთის ურწმუნო
14. მსახიობი ... კლოუზი
15. წამწამის ძირის ანთება
16. ბავშვის კბილი
17. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
18. გამის ნოტი
19. მომღერალი ... მინოუგი
20. რეჟისორი ... რიჩი
21. ყურის ანთება
22. ქართული წყალი
23. ნიგოზი თაფლში
24. ექს-პრეზიდენტი ... კლინტონი
25. ლითონი
26. ხორბლის ჯიში
27. აჭარული ცეკვა
28. ხელოვნური ენა
29. „... ტყის ზღაპარი“
30. ქვის სახლის მშენებელი
31. იტალიელი ფერმწერი
32. ჩიკორი
33. ნამარხი სპილო
34. შეხვედრა, ანუ ...
35. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
36. ბიბლიური მოსეს ძმა
37. მითიური პერსონაჟი. მთაზე აჰქონდა დიდი ლოდი
38. ჩაცუცქვა ცეკვის დროს
39. ლითონის ფული
40. ხორბლის შეჭამანდი
41. სოფელი ხაშურის რაიონში
42. გამოუწვავი აგური
43. ტალღების მიმღები ძელი
44. ჟამი
45. ძვირფასი წითელი ქვა
46. ბათუმის გარეუბანი
47. კედელში ჩადგმული კარადა
48. დაბალფასიანი
49. ფეთქებადი ნივთიერება
50. მსახ. ... მაკგრეგორი
51. წყლის ტრანსპორტი
52. გალაქტიკა: ანდრომედას ...
53. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
54. მზარეული გემზე
55. მეცნიერი, რომელიც ცხოველებს სწავლობს
56. ძვირფასი ლითონი
57. ამერიკელების მეტსახელი მექსიკაში
58. გამოკლების ნიშანი
59. მსახიობი მიკი ...
60. კაპიტან ნემოს გემი
61. ლაშქარი
62. ხილი
63. მწერალი ფრანც ...
64. მომღერალი ... კუტუნიო
65. მომწამვლელი ნივთიერება
66. უდაბნო აფრიკაში
67. მაჟორი და ...
68. რა ეფარება მზეს
69. მადაგასკარის დედაქალაქი
70. კატა საბჭოთა მულტფილმიდან
71. სამხედრო სასამართლო
72. მომჭერი წყლის მილზე
73. მდინარე დას. საქართ.
74. ტბა აფრიკაში
75. ქვეყნის მატიანე
76. ყაზახეთის დედაქალაქი
77. ზონარზე ასხმული მძივები
78. სამშენებლო მასალა
79. ლუდის დიდი ჭიქა
80. მარადმწვანე ბუჩქი
81. ნახშირმჟავას მარილი
82. ადამიანშებმული ეტლი
83. მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
84. სიმსივნის ფორმა
85. ვედრო
86. ქართ. ხალხური ზღაპარი
87. მწერალი ანდრე ...
88. მსახიობი კარლო ...
89. ნაბიჯი ბალეტში
90. ინერტული აირი
91. გეომეტრიული ფიგურა
92. ლუდის მასალა
93. რეჟისორი ... დე ბონტი
94. შესვენება თეატრში
95. ქვეყნიერება (მოძვ.)
96. მისი დედაქალაქია რომი
97. ძვირფასი ქვა
98. კატის ნაშიერი
99. მსახიობი ჩარლი ...
100. ფედერიკო გარსია ...
101. გაუშლელი ყვავილი
102. იაპონური თეატრი
103. დასარტყამი საკრავი
104. იაპონელი თვითმკვლელი
105. მდინარე ჩინეთში
106. ყვავილი
107. თვალის დაავადება
108. ბალზაკი. „მამა ...“
109. მსახიობი ... კემპბელი
110. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
111. ლერწმის არაყი
112. ფოლადის სადნობი ღუმელი
113. ელემენტი სუფრის მარილში
114. შტატი აშშ-ში
115. რეპტილია
116. მაღალი ვიწრო შენობა
117. მსახ. სილვესტერ ...
118. დადებითი ელექტროდი
119. რუსი მეიგავე
120. მიწის ფართობის ერთეული
121. ამპერი, ვოლტი, ...
122. გულმკერდის ძვალი
123. ამოთხრილი ადგილი
124. ფეხბურთელი ანდრეს ...
125. მეფეთა სასახლე ესპანეთში
126. ანტილოპის სახეობა
127. ქალაქი პოლონეთში
128. ჩონჩხის შემადგენელი
129. მსახიობი ... ფარელი
130. სომხეთის დედაქალაქი
131. ჰერბერტ უელსი. „დოქტორ ... კუნძული“
132. მესაყვირე არმსტრონგი
133. თოვლის კაცი
134. ალვირი, ანუ ...
135. შვეიცარიის დედაქალაქი
136. კონტინენტი
137. შიიზმის მიმდევარი
138. მსახიობი მეგ ...
139. თოვლის ბაბუა ...-კლაუსი
140. მერკურის ძველი სახელწოდება
141. ... ბურთი და ... მოედანი
142. მზის ღმერთი ეგვიპტეში

პასუხები: 1. მარადონა; 2. კრამიტი; 3. ხაში; 4. ნესვი; 5. მელანინი; 6. ტურგენევი; 7. სიმი; 8. ჯემალ; 9. ციანოზი; 10. რელაქსაცია; 11. ლისტი; 12. აცრა; 13. ათეისტი; 14. გლენ; 15. ჯიბლიბო; 16. კიჟი; 17. იკაროსი; 18. ლა; 19. კაილი; 20. გაი; 21. ოტიტი; 22. სნო; 23. გოზინაყი; 24. ბილ; 25. ნიკელი; 26. იფქლი; 27. ხორუმი; 28. იდო; 29. კოჯრის; 30. კალატოზი; 31. ტინტორეტო; 32. ბზრიალა; 33. მამონტი; 34. რანდევუ; 35. ხატია; 36. აარონი; 37. სიზიფე; 38. ბუქნი; 39. მონეტა; 40. კორკოტი; 41. ოსიაური; 42. ალიზი; 43. ანტენა; 44. დრო; 45. აყიყი; 46. კვარიათი; 47. განჯინა; 48. იაფი; 49. ტროტილი; 50. ევან; 51. ტივი; 52. ნისლეული; 53. სიასამური; 54. კოკი; 55. ზოოლოგი; 56. ოქრო; 57. გრინგო; 58. მინუსი; 59. რურკი; 60. „ნაუტილუსი“; 61 სპა; 62. ბალი; 63. კაფკა; 64. ტოტო; 65. იპრიტი; 66. ნამიბია; 67. მინორი; 68. ღრუბელი; 69. ანტანანარივუ; 70. ლეოპოლდი; 71. ტრიბუნალი; 72. ონკანი; 73. რიონი; 74. ნიასა; 75. ისტორია; 76. ასტანა; 77. კრიალოსანი; 78. არმატურა; 79. კათხა; 80. ტუია; 81. კარბონატი; 82. რიქშა; 83. ნოდარი; 84. მიომა; 85. სათლი; 86. „წიქარა“; 87. მორუა; 88. საკანდელიძე; 89. პა; 90. რადონი; 91. რომბი; 92. ალაო; 93. იან; 94. ანტრაქტი; 95. დუნია; 96. იტალია; 97. იასპი; 98. კნუტი; 99. შინი; 100. ლორკა; 101. კოკორი; 102. კაბუკი; 103. დაირა; 104. კამიკაძე; 105. იანძი; 106. ია; 107. კატარაქტი; 108. გორიო; 109. ნივ; 110. ბრაზილია; 111. რომი; 112. მარტენი; 113. ნატრიუმი; 114. ინდიანა; 115. კუ; 116. კოშკი; 117. სტალონე; 118. ანოდი; 119. კრილოვი; 120. არი; 121. ვატი; 122. ნეკნი; 123. ორმო; 124. ინიესტა; 125. ალკაზარი; 126. კანა; 127. ლოძი; 128. ძვალი; 129. კოლინ; 130. ერევანი; 131. მოროს; 132. ლუი; 133. იეტი; 134. სადავე; 135. ბერნი; 136. აზია; 137. შიიტი; 138. რაიანი; 139. სანტა; 140. ოტარიდი; 141. ჰა; 142. რა. იკითხება: დენიელ კრეიგი.

## მაშველებმა უპატრონო ძაღლი გადაარჩინეს



ცხოველი მდინარეში არსებულ მსხვილ მილში იყო გაჭედილი და გადარჩენას ცდილობდა. შემთხვევა,

სანაპიროზე, იუსტიციის სახლის მოპირდაპირე მხარეს მდინარეში არსებულ მსხვილ მილში ძაღლი გაიჭედა. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს აღნიშნული ფაქტის შესახებ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს. მაშველები შემთხვევის ადგილას რამდენიმე წუთში მივიდნენ და მტკვრიდან ძაღლის ამოყვანა შეძლეს. სიკვდილს გადარჩენილი ძაღლი ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში მოთავსდა, სადაც მას საჭირო ვეტერინარული დახმარება ჩაუტარდა. (კვირა)

## ვინ არის გოგონა, რომელმაც პრეზიდენტს აქციაზე შუა თითი უჩვენა?



პიროვნება, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს 13 აპრილის აქცია-კონცერტზე – „მე ვირჩევ ევროპას", შუა თითი უჩვენა, „ნაციონალური მოძრაობის" აქტიური მხარდამჭერი სალი სალომკა მახარაშვილია.

აქციაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სალი მახარაშვილი სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის სტატუსს აქვეყნებს:

„შუა თითი დავანახე მარგველაშვილს და ამას კიდევ გავაკეთებ, თუ იქ მოვა, სადაც მე და ჩემი ღირსეული ხალხი ვიდგებით, ჩვენ გვერდით უღირსების ადგილი არ იქნება არასდროს. ეს იმიტომ არ გავაკეთე, რომ ტელევიზიებს გაეშუქებინა, იმიტომ გავაკეთე, რომ გული მერევა... ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი არ არის და არც არასდროს ვაღიარებთ ამას ჩვენ, უმრავლესობა... ვისაც არ მოგეწონათ, ცივი წყალი დალიეთ... გაუმარჯოს ერთადერთ და ძლიერ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს", – წერს სალი მახარაშვილი.

კონცერტზე ერთ-ერთი გამომსვლელი ქვეყნის პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი იყო, რომლის სიტყვით გამოსვლისას ტელეკამერებმა ხალხში მის მიმართ ნაჩვენები უხამსი ჟესტი დააფიქსირეს. (რეპორტიორი)

## იტალიაში ზურაბ წერეთლის რიგით მესამე ქანდაკება დაიდგა



იტალიის ქალაქ მარჩიანო დე რომანიას ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი მესამე ქანდაკება სახელწოდებით „კლოუნები" დაამშვენებს. აღნიშნული ქანდაკება სერია „ქალაქების" გაგრძელებაა.

ქალაქი მარჩიანო დე რომანია ცნობილი სკულპტორის, ბოჩინის მშობლიური ქალაქია. ქალაქის მერმა ზურაბ წერეთელს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქანდაკება იტალიელებს ყოველთვის საქართველოს მოაგონებს. (რეპორტიორი)

## სოსო პავლიაშვილი: „მჯერა, ღმერთი რუსეთს არ მიატოვებს!"



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის განცხადებით, საქართველო, ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში, ოსეთსაც დაკარგავს და აფხაზეთსაც.

„მე მიყვარს რუსეთი და მადლობელი ვარ მისი. მანახეთ ერთი ქვეყანა მაინც, რომელიც აშშ-მ ან ევროსაბჭომ გააბედნიერა! შეიძლება უკრაინა გახდეს ასეთი, მაგრამ რუსეთისა და რუსების წყევლა-კრულვით მათ ყირიმი უკვე დაკარგეს. საჭიროა, გავაგებინოთ უკრაინას, რომ ჩვენთან უნდა იმეგობრონ და არ უნდა გვაგინონ და გვაფურთხონ. ისევ და ისევ ხალხი გაწამდება, საბოლოოდ კი ისევ ხელისუფლებას მოეკითხება. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს მრავალმილიარდიანი ვალი დაუგროვდა. ვინ გაისტუმრებს ამ თანხას, სააკაშვილი და მისი ამალა? არა. ისევ და ისევ მოსახლეობას მოუწევს ამ ფულის გადახდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშაა – საქართველო ოსეთსაც საბოლოოდ დაკარგავს და აფხაზეთსაც, თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ნატო-ში გაწევრიანებას დააპირებენ. ისინი შავს ყოველთვის თეთრს დაუძახებენ, ამის მაგალითი სულ ცოტა ხნის წინ, კოსოვოში ვიხილეთ". – განუცხადა რუსული მედიის წარმომადგენელს მომღერალმა.

მისივე განმარტებით, რუსეთის კეთილდღეობა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებისთვის სასიკეთოა.

„მე ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი, ასი პროცენტით ქართველი ვარ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ რუსეთის კეთილდღეობა ყველა ყოფილი სსრკ ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება. დრო არის საჭირო იმისთვის, რომ რუსეთი გახდეს ის ქვეყანა, რომელიც ის უნდა იყოს. მან თავისი როლი უნდა ითამაშოს, ჩვენ კი მოთმინება გვჭირდება. მე მჯერა, ღმერთი რუსეთს არ მიატოვებს!", – აცხადებს პავლიაშვილი. (რეპორტიორი)

## საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე გახდა



თავმჯდომარეობის აშშ-დან საქართველოზე გადმობარების ცერემონიალი ბრიუსელში ჩატარებულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შუასასესიო შეხვედრაზე გაიმართა. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი სახელმწიფოთა არაფორმალური გაერთიანებაა, რომლის მიზანი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის გამარტივებაა. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის წევრები არიან – აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საქართველო.

ბელგიაში ვიზიტისას საქართველოს დელეგაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობდა, დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სოფლის მეურნეობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინის" წარმომადგენლები.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შუასასესიო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა 1 წლის განმავლობაში, 2015 წლის აპრილის ჩათვლით იქნება. ასევე გადაწყდა, რომ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის მორიგი პლენარული შეხვედრა 2014 წლის 25-27 აგვისტოს თბილისში გაიმართება. რაც შეეხება ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შუასასესიო შეხვედრას, მასზე ღვინით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები განიხილებოდა. მათ შორის, პესტიციდების ზღვრები, ტექნიკური ბარიერები, ტრადიციული ტერმინები, წევრი ქვეყნების მიერ ორმხრივი მოლაპარაკებებისა და სავაჭრო შეთანხმებების მიმდინარეობა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა ევროკავშირში აშშ-ის მისიის ხელმძღვანელის სახელით მიღება, სადაც მისიის ხელმძღვანელმა ენტონი გარდნერმა სანკტ-პეტერბურგში სწავლის პერიოდში ქართული ღვინოების შესანიშნავი გემო გაიხსენა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან საუბრისას ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალით დაინტერესდა. (რეპორტიორი)

## აფხაზეთში შავი ზღვის აკვატორიაში შესაძლოა ნავთობის მოპოვება დაიწყოს



როგორც აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების ლიდერმა, ალექსანდრე ანქვაბმა რუსული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები რათა მოხდეს, შავ ზღვაში ნავთობის საბადოების მდებარეობის განსაზღვრა და თუ ნავთობის მარაგი საკმარისია, მაშინ მისი მოპოვებაც დაიწყება.

„თუ არ გავაკეთებთ ამას ჩვენ, გააკეთებს საქართველო, რომლის ხელისუფლებამაც უკვე გასცა ნებართვა რამდენიმე ამერიკულ კომპანიაზე" – განაცხადა ანქვაბმა. (პირველი რადიო)



## პანტომიმის თეატრის დამფუძნებელსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ვარსკვლავი გაუხსნეს

საქართველოში პანტომიმის ჟანრის ფუძემდებელს 75 წელი შეუსრულდა. ამირან შალიკაშვილის სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონია მის საიუბილეო თარიღს დაამთხვიეს. სიმბოლურად, ვარსკვლავი 9 აპრილის ბაღში განთავსდა, იქ, სადაც პანტომიმის თეატრის მშენებლობაა დაგეგმილი. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიას ამირან შალიკაშვილის მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ. ღონისძიებას მხატვრულად პანტომიმის თეატრის შემოქმედებითი დასი აფორმებდა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის იუბილე მარჯანიშვილის თეატრში აღინიშნა. პანტომიმის თეატრის შემოქმედებითმა დასმა სპექტაკლი სახელწოდებით „ტერენტი გრანელი" წარმოადგინა. მეორე განყოფილებაში კი სცენაზე თავად ამირან შალიკაშვილი გავიდა.

## თბილისის „დინამოს" სეზონის დასრულების შემდეგ მალხაზ ჟვანია აღარ გაწვრთნის



კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძის განცხადებით, სეზონის ბოლომდე გუნდს მალხაზ ჟვანია გაწვრთნის და ახალი მთავარი მწვრთნელის პოსტზე კახა ცხადაძის კანდიდატურა განიხილება, რომელიც ამჟამად ბაქოს „ინტერს" ხელმძღვანელობს.

„მოგეხსენებათ, დეკემბერში თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად მალხაზ ჟვანია დაინიშნა, რომელიც სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს. ვადასტურებ, რომ თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელობის კანდიდატთა შორის ყველაზე რეალური კანდიდატი კახა ცხადაძე გახლავთ", – განაცხადა გვენცაძემ. (ინტერპრესნიუსი)



## გიორგი მეტრეველი ევროპის ჩემპიონი გახდა

ხაშურელმა გიორგი მეტრეველმა ესპანეთში გამართულ შეჯიბრში, რომელიც ჭაბუკთა შორის ჭიდაობა სამბოში გაიმართა, ოქროს მედალი მოიპოვა. გიორგი მეტრეველი უკვე საქართველოში დაბრუნდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა ხაჩიძე და თანამშრომლები დახვდნენ.

გიორგი მეტრეველი, 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში, 2012 წლის ევროპისა და 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონია. (ინტერპრესნიუსი)

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გიორგი ლაღიძე: „ნარმანიასგან განსხვავებით, თბილისელი ვარ“



თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „მომავალმა საქართველოს“ სახელით გიორგი ლაღიძე იბრძოლებს. თბილისის მერობის 38 წლის კანდიდატი გარდაბანში დაიბადა. თუმცა, როგორც აცხადებს, ბოლო 20 წელია თბილისში ცხოვრობს და დედაქალაქელების პრობლემებს კარგად იცნობს. ლაღიძის თქმით, მისი მთავარი პრიორიტეტი თბილისელების დასაქმება და სოციალური პრობლემების მოგვარება იქნება.

„პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მე ვიქნები დედაქალაქის მერობის კანდიდატი, ჩვენ დღეს უკვე მივმართეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ვფიქრობ, თუ კონკურენტუნარიან ვითარებაში წარიმართა საარჩევნო პროცესები, მოსახლეობის მხარდაჭერას მოვიპოვებ. რაც შეეხება იმ ფაქტორს, რომ თბილისში არ ვარ დაბადებული, ეს არ ნიშნავს, რომ დედაქალაქის პრობლემებს არ ვიცნობ. 20 წელზე მეტია თბილისში ვცხოვრობ – ჩათვალეთ, რომ თბილისელი ვარ. ნარმანიასგან განსხვავებით, ეს პრივილეგია მაქვს“, – განაცხადა გიორგი ლაღიძემ.

გიორგი ლაღიძე პარტია „მომავალი საქართველოს“ სახელით მერის არჩევნებში მეორედ მონაწილეობს. ის 2010 წელს გამართულ თვითმმართველობის არჩევნებში დამარცხდა. (კვირა)

## კახა კალაძემ პატარა ნიკოლოზს სურვილი აუსრულა



„მე ვარ ნიკოლოზ ლადუა, 7 წლის, გაგრიდან, ძალიან მინდა, შევხვდე კახა კალაძეს და ჩავეხუტო. ჩემი ოცნებაა, ვნახო გაგრა. გაუმარჯოს „ქართულ ოცნებას“, – წერდა პატარა ნიკოლოზი და მისმა ფოტომ ბოლო დღეების მანძილზე ინტერნეტსივრცე დაიპყრო. პატარა ნიკოლოზს სურვილი აუსრულდა – მას მინისტრი შეხვდა და ერთმანეთს ჩაეხუტნენ. კახი კალაძე დარწმუნებულია, რომ ბავშვის მეორე ოცნება – ნახოს გაგრა მალე ასრულდება! (კვირა)




## სეპარატისტებმა ახალგორში ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისთვის ახალი საბუთების გაცემა დაიწყეს

რუსული მედიის ინფორმაციით, მოსახლეობა ძველი დოკუმენტებით გადაადგილებას 1-ლი მაისის შემდეგ ვეღარ შეძლებს. ადგილობრივთა უმრავლესობას ახალი საშვი ამ დრომდე მიღებული არ აქვს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დოკუმენტაციის მოულოდნელად შეცვლის მიზეზად ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებს ასახელებენ, რომელიც 8 ივნისს უნდა გაიმართოს. (ინტერპრესნიუსი)

## თეონა კონტრიძემ შესაძლოა, „ორი ვარსკვლავი“ დატოვოს



პროექტში „ორი ვარსკვლავი“ თეონა კონტრიძის საქციელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა, თეონა კონტრიძემ ჟიური სალომე ღვინიაშვილის და გიორგი ჩიქოვანის საკონცერტო გამოსვლის შემდეგ დატოვა. იქამდე კი, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თეონას ფურცელზე ჰქონდა ჩამოწერილი ის შენიშვნები, რომელიც ვარსკვლავებისთვის, შესრულებული სიმღერის გამო უნდა მიეცა, თუმცა ჟიურის წევრებმა მას ამის საშუალება არ მისცეს. მომღერალი ამბობს, რომ ზურაბ ყიფშიძეზე ნაწყენი არ არის.

„მე კოლეგებთან გამიჩნდა ჩემი პრეტენზიები და დავტოვე დარბაზი, თუმცა არც მახსოვს, ვინ რა თქვა. პირდაპირი ეთერის დროს ნერვიულობ, განიცდი და არ გესმის, საერთოდ ვინ რას ამბობს და აკეთებს. დიდი ჩოჩქოლი იყო და ვერაფერს მივხვდი“. – განაცხადა თეონა კონტრიძემ. მას შოუს საბოლოოდ დატოვების გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმცა მომღერალი ამბობს, რომ ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა. (ამბები.ჯე)

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**16 აპრილი:** მომავალზე სერიოზულად იფიქრეთ. დრო და ენერგია არ დაიშუროთ, რათა მიმდინარე მოვლენები აკონტროლოთ, რომ სანანებლად არ გაგიხდეთ საქმე.

**კურო 22.04-21.05**

**16 აპრილი:** დღეს მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ იმას, რას ლაპარაკობთ, არამედ იმასაც, როგორ უსმენთ. რაც უფრო ყურადღებით იქნებით, მით უფრო მეტ საინტერესოსა და სასარგებლოს გაიგებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**16 აპრილი:** დღეს გაგიჩნდებათ რაღაც მიზანი, რომელიც მთელ თქვენს აზრებს დაიპყრობს. დიდი ფიქრიც არ მოგიწევთ, ყველაფერი თავისით გამოვა.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**16 აპრილი:** მზად იყავით, დიდი ალბათობით, თქვენს კეთილშობილურ ზრახვებსა და შეთავაზებებს შეიძლება არაადეკვატურად უპასუხონ.

**ლომი 23.07-22.08**

**16 აპრილი:** დიდი შანსი გაქვთ, აღიარება მოიპოვოთ, მაგრამ ამისთვის რამე უნდა გააკეთოთ. მთავარია, ის შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევი იყოს.

**ქალწული 23.08-22.09**

**16 აპრილი:** შეეცადეთ, გაგებით მოეკიდოთ იმ წვრილმან უსიამოვნებებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, ნათესავები შეგიქმნიან. გასაბრაზებელი მართლაც არაფერი იქნება.

**სასწორი 23.09-22.10**

**16 აპრილი:** კარგი დღეა აუჩქარებელი და აკურატული საქმიანობისთვის. არ იდარდოთ, თუ საღამომდე შედეგს ვერ მიიღებთ. ერთ-ორ დღეში მართლაც სერიოზულ რამეს შექმნით.

**მორიელი 23.10-21.11**

**16 აპრილი:** დღეს უმჯობესია, უფრო მეტად მორიდებული იყოთ, ვიდრე გულწრფელი. თქვენს სიმართლეს არ დააფასებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**16 აპრილი:** შესაფერისი დღე არ არის მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად. ტყუილად დროს დაკარგავთ და შედეგს ვერ მიიღებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**16 აპრილი:** კარგი დღეა ურთიერთთანამშრომლობისთვის. ვისთან, თავად შეარჩიეთ. არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ კამათში და არ იჭორაოთ, თქვენს წინააღმდეგ შემობრუნდება.

**მერწყული 20.01-18.02**

**16 აპრილი:** შეიძლება სისულელეების კეთების სურვილი დაგეუფლოთ. არანაირ კატასტროფას ეს არ მოიტანს, უბრალოდ, შეიძლება გაწბილებული დარჩეთ, მაგრამ მალე გაგივლით.

**თევზები 19.02-20.03**

**16 აპრილი:** შეიძლება წარსულის რაღაც მომენტის გახსენებამ შეგაწუხოთ, რომელიც დროა, თავიდან მოიცილოთ. ახალი შთაბეჭდილებები გჭირდებათ.

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## რამდენად რეალური და ლეგალურია უცხოეთში დასაქმება?




„ვიწვევთ უცხოეთში სამკერვალოებში, სათბურებსა და ხორცკომბინატებში, ასევე მშენებლობებზე მომუშავე პერსონალს“; „აიხდინეთ ოცნება, გაატარეთ 1 წელი გერმანიაში!“; „18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ დასაქმებას გერმანულ ოჯახებში, ბინა, კვება და დაზღვევა უფასოა“. – მსგავსი განცხადებებით ინტერნეტსივრცე და შენობების ფასადები გადაჭრელებულია. რა პროფესიებზეა მოთხოვნა უცხოეთში და რამდენად უსაფრთხოა გამგზავრება? ერთ-ერთი დასაქმების სააგენტოს თანამშრომლის განცხადებით, ყველაზე დიდი მოთხოვნაა სატვირთო მანქანის მძღოლებზე ლიტვაში, პოლონეთში, დიდი სამუშაო გამოცდილებით, უპირატესობა ინგლისურის თუნდაც მინიმალურ დონეზე მცოდნეებს ენიჭებათ. მისივე თქმით, ფორმდება სამუშაო ვიზები, რომელთა ფასი 35 ევროდან იწყება.

„რაც შეეხება მუშახელზე მოთხოვნას, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ვაკანსიებია. ლიტვას სატყეო მეურნეობებში სჭირდება მუშახელი; იტალიიდან, საბერძნეთიდან, ისრაელიდან ავადმყოფის ან მოხუცის მომვლელებზეა მოთხოვნა, ისრაელში რუსული ენის მცოდნეებს ანიჭებენ უპირატესობას. არის ვაკანსიები დოჰაში, ყატარის დედაქალაქში – უფრო ბარმენი, მიმტანი, კარისკაცი, დამლაგებელი სჭირდებათ სასტუმროებში. იდება სამუშაო კონტრაქტი ინგლისურ ენაზე, სადაც დასაკავებელი პოზიცია და ხელფასი ზუსტად არის მითითებული, ასევე, სხვა პირობები – გამოსასვლელი დღეები, დამატებითი სამუშაო საათების ანაზღაურება“, – განუცხადა „ბპნ“-ს დასაქმების სააგენტოს თანამშრომელმა.

მისი თქმით, მგზავრობის ხარჯებს ხშირად დამსაქმებელი ფარავს, თუმცა არის შემთხვევები, როცა ითხოვენ სამედიცინო შემოწმებას ცე ჰეპატიტზე, შიდსზე და ა.შ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროექტების ხელმძღვანელი ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ საქართველოს ევროკავშირის 16 სახელმწიფოსთან აქვს ხელი მოწერილი დეკლარაციაზე ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამ დეკლარაციით რეგულირდება მიგრანტების მოძრაობა, სამუშაო, სასწავლო თუ ტურისტული ვიზების გაცემა. ხელშეკრულება ასევე არეგულირებს არალეგალების საკითხს, რეადმისიას – ანუ საქართველო ვალდებულებას იღებს ევროკავშირში უკანონოდ შესული თავისი მოქალაქეების დაბრუნებაზე, მათი პირობების გაუმჯობესებაში კი ევროკავშირის ქვეყნებიც დაეხმარებიან.

რაც შეეხება მაღალკვალიფიციურ კადრებს, ნატროშვილი ფიქრობს, რომ მათზე ისედაც დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში.

ცირკულარული მიგრაციის შესახებ შეთანხმებით, საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ზოგ ქვეყანაში დროებით ლეგალურად დასაქმების საშუალება ეძლევათ. ეს ქვეყნებია – პოლონეთი, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, ჩეხეთი და შვედეთი. ოღონდ, ამ ქვეყნებში შესაძლებელია დროებითი ცხოვრებისა და დასაქმების უფლების მოპოვება და არა მუდმივი ბინადრობის. (ბპნ)

## ქუთაისში ქმარმა ცოლი დანით დაჭრა




ქუთაისში მომხდარ შემთხვევას შს სამინისტროს პრესსამსახური ადასტურებს. უწყების ინფორმაციით, ბრალდებულის დაკავება ცხელ კვალზე მოხდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისში, ქალაქში მდებარე ტანსაცმლის ერთ-ერთ მაღაზიაში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ქმარმა ცოლს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. (კვირა)

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.25